დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **მაგდა მიქაბერიძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

1. **თამთა მურვანიძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. **ეთერ ბროლაძე** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. **ზაზა მანია** - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
4. **ინგა ჯაფარიძე** - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. **ეკა ბარნაბიშვილი** - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6. **მეგი კაპანაძე** - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7. **ილონა აკობია** - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8. **ნანა ცინცაძე** - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9. **მარინა ანესაშვილი** - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10. **ელენე ბეთლემიშვილი** - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204859750

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	ვ. თოფურიას ქ. N12
ფაქტობრივი მისამართი	ვ. თოფურიას ქ. N12
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skola128@edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi128@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591 413 444

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება - MES 3 23 0000964806; 04/08/2023.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 11-12 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ვ. თოფურიას ქ. N12
2	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ვ. თოფურიას ქ. N12
3	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ვ. თოფურიას ქ. N12

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 11 და 12 სექტემბერს, სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა სკოლის შენობა, მათ შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპიუტერული კლასები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, რომელთა შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა.
ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიუირების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის დანერგვის პროცესებთან მიმართებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლა დიდი ისტორიის მქონე სკოლაა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასა და განვითარებაზე. სკოლის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტებიდან და ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლის განსაკუთრებული ძლიერი მხარეა არაფორმალური განათლების მიმართულება, რომელსაც კვალიფიციური პერსონალის წყალობით აქტიურად ახორციელებს. სკოლის განსაკუთრებულ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს მოსწავლეთა წარმატებები, რომელთა აღიარება მუდმივად ხდება. ასევე, სკოლა აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა ადგილობრივ თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან დამატებით მომსახურებებს, როგორებიცაა გახანგრძლივებული წრე, ვოკალის წრე (I-VI), კარატეს წრე (I-XII), ნორჩ მათემატიკოსთა და პროგრამისტთა წრე (V-IX), ჭადრაკის წრე (I-VI), ფუნქციონირებს ბუფეტი, ასევე, სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც მოშორებით ცხოვრობენ ემსახურება ტრანსპორტი. გარდა ფასიანი დამატებითი მომსახურებისა, სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები: სამოქალაქო განათლების კლუბი „ლორაქსი“, ნორჩ-შემოქმედთა კლუბი „წიგნიერი თაობა“, ეკო-კლუბი „მწვანე კლუბი“, კლუბი „ალგორითმიკა“, კლუბი „ატომების ოჯახი“. სკოლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობს, პრინციპით ,,სკოლა-უნივერსიტეტს და უნივერსიტეტი-სკოლას“. სკოლის მოსწავლეები ხშირად სტუმრობენ უნივერსიტეტს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიზნით. უნივერსიტეტის სტუდენტები სკოლის ბაზაზე გადიან პედაგოგიურ პრაქტიკას. სკოლა თანამშრომლობის ფარგლებში მესამე წელია ასევე, ატარებს კონფერენციას თემაზე ,,განათლება თანამედროვეობის სამსახურში“ . წლევანდელი კონფერენცია მიეძღვნა სასკოლო პროექტს კულტურული მემკვიდრეობაზე სახელწოდებით - “რა განძი გვქონია”. საგნობრივი კათედრებმა შეიმუშავეს და საჯაროდ მოსწავლეებს გააცნეს საკონფერენციო საკითხთა წრე, პრობლემაზე ორიენტირებული თემატიკა. IX-XI კლასების მოსწავლეებს დაევალათ გუნდურად დაემუშავებინათ პროექტები კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. პირველ ეტაპზე კათედრებმა გამოავლინეს საუკეთესო ნაშრომები, ხოლო დასკვნითი ეტაპი გაიმართა უნივერსიტეტის ბაზაზე.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1700	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულ შესაბამისობაშია**
2. **ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულ შესაბამისობაშია**
3. **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრმა - სრულ შესაბამისობაშია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (სამივე საფეხური)	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (11.10.2023-11.10.2024) სკოლის ეზოში უცხო პირთა გადაადგილების შეზღუდვა.
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანაგებო სიტუაციებში*	• *მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს ორი ექიმი. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ-ის მიხედვით)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	• *მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.*
ინდიკატორი 3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;*	*მიზანშეწონილია, სკოლამ მატერიალური სახით დაარეგისტრიროს მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.*
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **(სამივე საფეხური)**	***რჩევა***

VII. **წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. **ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას და შემუშავებულ დოკუმენტებს, რის შემდეგაც შეიცვალა გარკვეული ინდიკატორების შეფასება. ინდიკატორების ნაწილი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ნაწილი კი მეტწილად შესაბამისი. არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის ვერიფიკაციის წესი;
2. სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N247;

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, კერძოდ, ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, რომელიც აქტიური, კრიტიკული, განვითარებაზე ორიენტირებული მოქალაქის ფორმირებას შეუწყობს ხელს.

ინდიკატორი 1.1.1.1 **დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მისიაში ყურადღება გამახვილებულია სასკოლო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემის ჩართულობის პრიორიტეტულობაზე სკოლის მისიით გაცხადებული პრინციპების რეალიზების პროცესში. ინტერვიუების ფარგლებშიც მასწავლებლები იხსენებდნენ ადგილობრივ თემთან ურთიერთობის და თანამშრომლობის გამოცდილებას, რომელიც შეეხებოდა როგორც სასწავლო პროცესს, ისე სკოლის საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებების ერთობლივად განხორციელებას. თავის მხრივ, სკოლის მისია და ხედვა მიზნად ისახავს ისეთი საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებას, რომელიც შექმნის პოზიტიურ სასწავლო კლიმატს, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხოა, და აქტიური, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული მოქალაქის ფორმირებას უწყობს ხელს.

ინდიკატორი 1.1.1.2 **დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სკოლის მასწავლებლების, მოსწავლეთა თვითმმართველობის წამომადგენლისა და მშობელთა ჩართულობით. სკოლის მისია და ხედვა წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს და შესაბამისად ის შემუშვებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, დამტიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ბრძანებით, ამავე ჯგუფის სხდომის ოქმებით და პედაგოგიური საბჭოს ოქმი N4 - ით მტკიცდება, რომ მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების/გადახედვის პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების წევრები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასკოლო საზოგადოებას აქვს მისი გაცნობის, მოსაზრებების გამოთქმისა და უკუკავშირის მიცემის საშუალება. ამასთანავე, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილი, რომელიც შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, განიხილეს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რაც დასტურდება შესაბამისი სხდომის ოქმით და დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ, რაც ადასტურებს იმას, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული და მიღებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, იგი განთავსებულია თვალსაჩინოდ საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს და განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული შესაბამისი ბრძანებით - „სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლა“.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N1/კ-25 - სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N4;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1 და N2;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ვებ-გვერდი - http://skola128.edu.ge/index.html
- საინფორმაციო დაფის ფოტო.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები: სტრატეგიული დაგეგმვის ინიციირება, სტრატეგიული გეგმის მომზადება და განხილვა, სტრატეგიული გეგმის დამტკიცება და სტრატეგიული გეგმის გადახედვა. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა ყველა ეტაპზე რთავს სასკოლო საზოგადოებას. დაგეგმვის ეტაპზე მუშაობს სამუშაო ჯგუფი, შემდეგ გაუზიარდება სასკოლო საზოგადოებას პრეზენტაციის სახით, სადაც მათ უკუკავშირის მიცემის საშუალება ექნებათ. საბოლოო სახით ჩამოყალიბებულ სტრატეგიულ გეგმას ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო, რის შემდეგაც მოხდება მისი გასაჯაროება სკოლის ვებ. გვერდზე, სადაც სასკოლო საზოგადოებას კიდევ ერთხელ მიეცემა საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება. ამრიგად, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს 7 წლიანი ციკლური სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ, განხილულ იქნა პედაგოგიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბჭოს სხდომაზე და 2023 წლის 8 სექტემბერს დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს N6 სხდომის ოქმით.

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რომელიც არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილსის N128 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლები;
- სსიპ ქალაქ თბილსის N128 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმე გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის მეათე მუხლი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, მასში განსაზღვრულია, ვის მიერ, რა პერიოდულობით და რა ფორმით მოხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. **შესაბამისად ინდიკატორიც ვერ ფასდება**

3. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ აღნიშნული **ინდიკატორი ვერ ფასდება.**
4. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, **ამდენად ინდიკატორი ვერ ფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება 2-78 სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა, რომელიც წარმოდგენილია ორგანიგრამის სახით. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინურ კომიტეტს, სკოლის დირექციას (დირექტორი, დირექტორის ორი მოადგილე და ბუღალტერი), ადმინისტრაციას (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი), კათედრები, სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ისგ ჯგუფი, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სკოლაში სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, შრომითი ხელშეკრულებით

დასაქმებულია ერთი ექიმი, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტები (სპეციალური მასწავლებელი, სსსმ პირის ასისტენტი, ფსიქოლოგი), დამლაგებელი - 3, დარაჯი - 2. საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული სავალდებულო სტრუქტურული რგოლების მუშაობას არეგულირებს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ". სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები გაწერილია დირექტორის მ/შ ბრძანება N1/კ-19-ით დამტკიცებულ სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების შესახებ დოკუმენტში, სკოლის ადმინისტრაციასთან და ტექნიკურ პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურით, დირექტორის მ/შ ბრძანება N1/კ-19-ით დამტკიცებულ სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ დასახული მიზნების განხორციელებისთვის შეიმუშავა თავისი ორგანიზაციული მოწყობა. სტრუექტურული ერთეულების დებულებებით, თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტით და დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია მათი ფუნქციები. 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესებს ჰყავს პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული.

სკოლაში დასაქმებული პირების სისტემური შეფასება ხელს უწყობს სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის გადანაწილებული ფუნქციების ეფექტურ განხორციელებას. სკოლაში ხდება მასწავლებლის მუშაობის შეფასება. კერძოდ, კათედრის წევრების დასწრება გაკვეთილზე, რომლის შემდეგ კეთდება ანალიზი და ფასდება მასწავლებელი. ასევე, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ მოსწავლეთა პროგრესის ანალიზით ხორციელდება მასწავლებლის ირიბი შეფასება და შედეგების კათედრის სხდომებზე განხილვა.

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების დაგეგმვის, განხორცილების, მონიტორინგისა და შეფასების, გადახედვისა და რევიზიის ეტაპებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სტრუქტურული ერთეულების დებულება, სკოლის ხარისხის მართვის მექანიზმები იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N1/კ-19 - სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სკოლის სტრუქტურა/ორგანიგრამა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვასთან დაკავშირებული წესები და პირობები გაწერილია სკოლის დირექტორის N1/კ-24 ბრძანებით დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" დოკუმენტში. დასახული მიზნების განხორციელებისთვის, დაწესებულება ხელმძღვანელობს პედაგოგების/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის მოზიდვის, ინტეგრაციის, განვითარების და საქმიანობის შეფასების პროცედურებითა და წესებით. დასაქმებულთა მუშაობის პირობების განსაზღვრა და სამუშაოს განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. კერძოდ, დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების დროს გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსი. სკოლის პედაგოგების შერჩევის მიზნით ვაკანსიის გამოცხადება ხდება, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

წარმოდგენილი დოკუმენტებით (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი, პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები) დასტურდება, რომ სკოლას დადგენილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის წესები და პირობები, რომლებიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება, რაც ითვალისწინებს პერსონალის საჭიროების და შესაძლებლობების გამოვლენას. სირთულეების დროულ იდენტიფიცირებას და მოგვარების პრევენციული გზების დასახვას. სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გადამზადების მიზნით სკოლა პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებს და საკონსულტაციო შეხვედრებს, სკოლის დირექტორი განმარტებით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექცია აანალიზებს მომავალი სასწავლო წლისთვის რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრების შერჩევა და წინასწარ აცხადებს კონკურსს. ამ რეგულაციით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის მყისიერი ზომების მიღებას, მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში ჩაანაცვლოს შესაბამისი კათედრის მასწავლებლით, ხოლო სხვა დასაქმებულის შემთხვევაში მოახდინოს ფუნქციათა დელეგირება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელზე.

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის თანამშრომლების დაკომპლექტებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კადრების მოზიდვის და დაქირავების გამჭვირველე, ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის წარმართვას, აგრეთვე ნებისმიერი აპლიკანტისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას და საკუთარი თავის რეალიზებისთვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნას. სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსით, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სხვა საჭირო კადრისთვის მოზიდვისთვის განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლამ წარმოადგინა სპეციალური მასწავლებლის ვაკანტური საათების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების დოკუმენტაცია, სადაც ჩანს, რომ ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს. დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბრძანებით განსაზღვრულია კონკურსის ვადები, პირობები, კონკრეტული პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებ-გვერდზე. სკოლის დირექტორის განმარტებით, დანარჩენი პერსონალის (მასწავლებლების გარდა) შერჩევა ხდება დირექციასთან გასაუბრების ან კონკურსის გზით. პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილია კანონმდებლობის შესაბამისი ცნობები: ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმების და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ".

წარმოდგენილი მასალების შესწავლით შეიძლება დავასკვნათ, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვას.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში დასაქმებულია 36 უფროსი, 25 წამყვანი. 6-მენტორი, 1 - მოწვეული მასწავლებელი, რომლებიც შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. კონკურსის წესითაა შერჩეული სკოლის ექიმი და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები (სპეც მასწავლებელი, სსსმ პირის ასისტენტი და ფსიქოლოგი). რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები კანონმდებლობის შესაბამისია. სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის სკოლას დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დასაქმებულთა პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

პერსონალის პირადი საქმეებისა და eSchool ბაზა მონაცემების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პოლიტიკის მართვის ძირითად პრინციპები და ღირებულებები, მათ შორის მნიშვნელოვანია მონაწილეობის პრინციპი, რაც გულისხმობს შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში პერსონალის სრულ ჩართულობას. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. გუნდური მუშაობა მხარდაჭერილია სკოლაში არსებული საზიარო სივრცეებით. კერძოდ, სკოლის შენობაში არის სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, სადაც პედაგოგებს საშუალება აქვს იმუშაონ ერთობლივად. სკოლის სტრუქტურით განსაზღვრული კოლეგიალური ორგანოების მუშაობა ეფუძნება მონაწილეობით პრინციპს და გადაწყვეტილების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია

6. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წარმატებული პრაქტიკის აღიარების სხვადასხვა მექანიზმები. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იყო წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება. წარმატების აღიარების კარგ პრაქტიკად შეიძლება მივიჩნიოთ მასწავალებელებსა და მოსწავლეებზე გადაცემული სერტიფიკატები, სიგელები, ფულადი პრემიები.

ინტერვიუს, კათედრის ოქმის და დირექტორის ბრძანების საფუძველე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების კარგი პრაქტიკა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ბრძანება N1/კ-24 - სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N1/კ-19 - სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N1/კ-48 - საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ;
- ბრძანება N2-44 - სპეციალური მასწავლებლის შტატზე ვაკანტური ადგილის შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N1/კ-45 - სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ცალკე თავი ეთმობა „პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარებას“, სადაც გაწერილია პერსონალის შეფასების ძირითადი მიზნები და პროცედურები. დებულება ითვალისწინებს პედაგოგების და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასებას. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას ახდენს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. სკოლაში იმართება კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები; სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას კითხვარების მეშვეობით. დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და დირექტორის ბრძანებით განსაზრვრული ხარისხის მართვის ჯგუფის დებულებით დასტურდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის საქმიანობის შეფასება წარმოადგენს სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების შემდეგ მოხდება პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა. კერძოდ, პროფესიული განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება, საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების ფარგლებში სხვადასხვა ტრენინგებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია ადამიანური რესურსების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები, საჭირო რესურსები და პასუხისმგებელი პირები. წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტით სკოლა აცხადებს მზაობას, იზრუნოს სკოლის პერსონალის განვითარებაზე გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით. რამდენადაც ამ ეტაპზე სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია **ამ ეტაპზე ინდიკატორი ვერ ფასდება.**

3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დასაქმებულს სკოლაში ეძლევა კარიერული წინსვლის საშუალება, კერძოდ საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე პერსონალს ეძლევა დაწინაურების საშუალება. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა". სკოლაში არსებული მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ეხმარება მასწავლებლებს პროფესიულ ზრდაში. კერძოდ მასწავლებლები თვითშეფასების საფუძველზე გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად, ხარისხის ჯგუფის დახმარებით, დაგეგმავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებას. მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის და კარიერული წინსვლისთვის საჭირო აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება და მასწავლებელთა საჭიროებების მიხედვით გადამზადების უზრუნველყოფა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების გაცნობა, გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლას შემუშავებული აქვს ახალი თანამშრომლის ტრანზიციის მექანიზმი, რომელშიც გაწერილია ყველა ის აქტივობა, რომელსაც ახორციელებს სკოლა მარტივი ადაპტაციისთვის. პირველ რიგში, ახალ თანამშრომელს აცნობენ სასკოლო კურლტურას, გარემოს, იმ დაწერილ და დაუწერელ წესებს, რომლებიც მოქმედებს სკოლაში, შემდგომ ხდება, ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებისა და ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, სასკოლო საზოგადოებისთვის წარდგენა და სკოლის თუ კათედრების დახურულ ჯგუფებში გაწევრიანება. აღნიშნულ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია, კათედრების, დირექციისა და ადმინისტრაციის როლებსა და ფუნქცია-მოვალეობებზე ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესში.

სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილ დოკუმენტზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და სკოლის შინაგანაწესით წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. კერძოდ, შეფასების შედეგების შესაბამისად განსაზღვრულია თანამშრომლის წახალისების ფორმები: პრემია, მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დებულება.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები: ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს: დაგეგმვას, შემოწმებას (სკოლის ფილოსოფიის შესაბამისობა; კურიკულუმები, სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი; აკადემიური პერსონალი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში; მოსწავლეთა მხარდაჭრის სისტემა), ანალიზს, რეაგირებას და განვითარებას. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს, დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზიის, ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტ ციკლს.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში, კერძოდ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, შიდა კონტროლის სისტემა, სკოლის შინაგანაწესი აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად პროცესებს. სტრატეგიული დაგეგმვა, სხვადასხვა კოლეგიური ორგანოების დებულებებით: დირექცია, პედსაბჭო და სამეურვეო საბჭო აღწერილია მმართველობით პროცესები, ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია: ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით, ბიბლიოთეკის დებულებით, საქმისწარმოების ინსტრუქციებით, ლაბორატორიის სარგებლობის წესით, სასწავლო რესურსების სარგებლობის წესით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიებით და სხვა ინსტრუმენტებით. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი.

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, რომელიც ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მოიცავს გასაჩივრების მუხლს, დისციპლინური გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სამეურვეო საბჭოში. ,,ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის“ თანახმად, მასწავლებელს შეუძლია კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სემესტრული ქულის ამაღლების წესი და პირობები, დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლაში, ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, დამრიგებელს ევალება: მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენლს მათი უფლებების და მოვალეობების (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.) გაცნობა. სასკოლო სასწავლო გეგმა ასევე განთავსებულია ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. დამრიგებელი სადამრიგებლო საათის ფარგლებში, ასაკობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავისებურებების გათვალისწინებით მოსწავლეებს აცნობს თავის უფლებებს და მოვალეობებს. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასტურდება ხელშეკრულების და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დამრიგებლის დებულება;
- დასაქმებულთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კურიკულუმის დაგეგმვით მეთოდოლოგია;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის ვებ/გვერდი - http://skola128.edu.ge/index.html .

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ვებ-გვერდის საშუალებით უზიარებს სასკოლო საზოგადოებას სკოლაში მიმდინარე სიახლეების. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სასკოლო საზოგადოების თითოეული რგოლისთვის (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) გამოყოფილია თემატური ბლოკები. ვებ/გვერდის საკონტაქტო ბლოკში განთავსებული სკოლის მისამართი, მეილი და ფბ გვერდის მისამართი, შესაძლებელია ვებ/გვერდიდან წერილის მიწერა. სკოლა, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, ასევე უზრუნველყოფს საკუთარი ფეისბუქ გვერდისა და მშობელთა კრებების საშუალებით. სკოლა მიმდინარე პროცესების შესწავლსითვის იყენებს გამოკითხვის მეთოდს, შემუშავებულია მშობლის და მოსწავლის კითხვარები. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აკეთებს რეფლექსიას. შედეგების ანალიზს იყენებს პროცესების გასაუმჯობესებელი ღონისძიებების დასაგეგმად.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დამრიგებლის დებულება;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- მშობელთა კითხვარები და ანალიზი.
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა, ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლაში არის მანდატურის სამსახური, რომლებიც უზრუნველყოფენ ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. უსაფრთხოების მიზნით, სკოლის პერიმეტრი შემოღობილია, და დაცულია უცხო პირთა გადადგილება 24 საათის მანძილზე, რომელზეც პასუხისმგებელნი არიან სკოლის დარაჯები. დასკვნის პროექტში აღნიშნული იყო, რომ სკოლის შენობის დაახლოებით 600 კვ. მ დაკავებული აქვს სამუსიკო სკოლას. დირექტორმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ არაერთხელ მიმართა მერიას სამუსიკო სკოლის უკანონოდ შემოჭრასთან დაკავშირებით, თუმცა შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია. დირექტორის თქმით სამუსიკო სკოლიდან გამოსული ხმაური ახლომდებარე საკლასო ოთახებში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დისკომფორტს უქმნის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სამუსიკო სკოლა სრულად იზოლირებული იყო სკოლისგან ცალკე შესასვლელით, **თუმცა სკოლასთან ჰქონდა საერთო ეზო,** დირექტორის თქმით უცხო პირთა სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება რეგულირდებოდა მანდატურების დახმარებით. არგუმენტრიებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლა გააგრძელებს თბილისის მერიასთან მოლაპარაკებებს აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, ჰყავს კანონმდებლობით გათვალისწინებული, შესაბამისი კვალიფიკაციის ერთი ექიმი, სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელიც აღჭურვილია ყველა იმ საჭირო ინვენტარით და ნივთით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-41/ნ-ით. *მიზანშეწონილია, კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლას ჰყავდეს ორი ექიმი.* ვიზიტის დროს, მედიკამენტების დათვალიერებისას, კარადაში მოთავსებული იყო რამდენიმე ვადაგასული მედიკამენტი. ექიმს მიეცა მითითება მათი განახლების შესახებ, აღნიშნული მითითება შესრულდა ვიზიტის პერიოდში.

დასკვნის პროექტის მიხედვით სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. 2021 წლის 11 ნოემბერს სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტორების მიერ განხორციელდა შემოწმება სახანძრო უსაფრთხოების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით, ხოლო 2021 წლის 16 ნოემბერს, სკოლას გადაეცა შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგენილი N733 მიწერილობა. სკოლამ სრულად შეასრულა მიწერილობით განსაზღვრული სავალდებულო ღონისძიებები და 2023 წლის 22 აგვისტოს მისწერა წერილი შესაბამის ორგანოს განმეორებითი მონიტორინგის დანიშვნის მიზნით. (მისამართზე თბილისი, ვ. თოფურიას ქ. N12-ში მდებარე 4,323.9 კვ.მ. მქონე შენობა ნაგებობა). **არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2023 წლის 21 სექტემბერს მიღებული წერილი (დანართის სახით წერილს ახლავს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N247), რომლის მიხედვითად დასტურდება, რომ სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.**

სკოლას აქვს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე, რომელიც გაცემულია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, დასკვნაში მითითებულია, რომ შენობის ძირითადი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპლუატაციისთვის ვარგისია, ასევე, გაცემულია რეკომენდაციები, რომლებიც სკოლამ უნდა შეასრულოს სეისმომედეგობის გასაუმჯობესებლად.

სკოლაში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი და შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შესაბამის უწყებასთან.

მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

ექსპერტთა ჯგუფი 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (11.10.23-11.10.2024), აქტივობებს, (რისკებს-50%) ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია.

2. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. კერძოდ, შინაგანაწესით რეგულირდება სკოლაში დისციპლინური დევნის საქმისწარმოება, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირები ცვლების მიხედვით. სკოლაში დირექტორის ბრძანების შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სკოლას აქვს მოსწავლის სკოლიდან გაშვების საშვი. კონტროლდება სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება, კარისკაცის/დარაჯის მიერ. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი უზრუნველყოფს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების გაცდენების კონტროლს და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურები და მორიგე მასწავლებლებიც.

ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. კერძოდ, სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, საგნობრივი კურიკულუმებით დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, სკოლის სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულია თემები: პიროვნული და მორალური განვითარება, მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერება, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია და სკოლაში განხორციელებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლაში საზიარო სივრცეების არსებობა მოსწავლეებს ეხმარება სოციალიზაციის პროცესში. მანდატურის სამსახური საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ მოსწავლის ფსიქოლოგით მომსახურებას შესაბამის სამსახურთან გადამისამართებით.

ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. რისთვისაც შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, კერძოდ, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში საშტატო განრიგით განსაზღვრულია 3 დამლაგებლის დასაქმება, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების კორპუსებში შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში, რომელზეც მარაგებზეც პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. სკოლის შენობის თითოეულ სართულზე არის გამიჯნული სველი წერტილები, ცალკე ბიჭების და ცალკე გოგონებისთვის და პერსონალისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სველი წერტილები უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სკოლაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ექიმი და მონიტორინგის შედეგებს აღრიცხავს სპეციალური ჟურნალში, კვების ბლოკის სანიტარული მდგომარეობის მონიტორინგისთვის განკუთვნილია ცალკე ჟურნალი.

ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას შემუშავებული, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების“ შესაბამისად. აღნიშნული წესი და მექნიზმები მოიცავს: მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავებას, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენებისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმისა და ელექტრონული ბაზის წარმოებისას. განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება. განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და დასაქმებულ პირთა მონაცემების დამუშავებას აღნიშნული წესის შესაბამისად. სკოლაში რეგისტრაციის დღიდან იწყება მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება და გრძელდება მთელი სასწავლო ცხოვრების მანძილზე. ელექტრონულ სისტემაში სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირია საინფორმაციო მენეჯერი.

ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. კერძოდ, სკოლის მიერ შემუშავებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმებში“ დეტალურადაა გაწერილი, მონაცემთა დაცვის მონიტორინგის ფორმები, სკოლის ვალდებულება უზრუნველყოს არსებული მონაცემების დაცვა შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე დაიცვას ელექტრონული ინფორმაცია არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ტრენინგებს. ასევე, ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს, შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, სადაც გაწერილია კიბერუსაფრთხოებასთან და პირადი ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით საინფორმაციო და შემეცნებითი აქტივობების ჩატარება. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი-სკოლის საინფორმაციო მენეჯერი.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება დირექტორის მ/შ, 2022-2023 წლის შემაჯამებელი ანგარიშით, ,,უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს“ შესახებ. ანგარიშში ნათქვამია, სკოლაში უსაფრთხოების დაცვის მიზნით გატარდა პრევენციული და ინტერვენციული ღონისძიებები. ჩატარდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია, ძალადობის, ბულინგი, კიბერბულინგის და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ასევე საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის გაცდენებთან და მათ მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის შინაგანაწესი;
- ბრძანება N2-20 – სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი N4;
- დირექტორის მ/შ 2022-2023 წლის ანგარიში;
- MES 9 23 0001075880 განცხადება - შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთანან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;
- MIA 0 23 02052812 საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პასუხი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამისობასთან დაკავშირებით;
- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე;
- ექიმის ხელშეკრულება;
- ბრძანება N1/კ-65 - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება N2-175 - სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ;
- დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი.
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი N247.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლა მდებარეობს ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვ. თოფურიას ქუჩა N12-ში. მიწის ნაკვეთის ზომა არის 13 119 კვ.მ. მიწის ნაკვეთით და მასზე განთავსებული 4315 კვ.მ. შენობა-ნაგებობით, რომლის დაახლოებით 600 კვ. მ დაკავებული აქვს სამუსიკო სკოლას. დირექტორმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ არაერთხელ მიმართა მერიას სამუსიკო სკოლის უკანონოდ შემოჭრასთან დაკავშირებით, თუმცა შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია. დირექტორის თმით სამუსიკო სკოლიდან გამოსული ხმაური ახლომდებარე საკლასო ოთახებში სასწავლო პროცესს უშლის ხელს. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სამუსიკო სკოლა სრულიად იზოლირებულია სკოლისგან, აქვს ცალკე შესასვლელი, თუმცა საერთო ეზო აქვთ, დირექტორის თქმით უცხო პირთა სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება რეგულირდება მანდატურების დახმარებით. შენობა-ნაგებობა სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში არის 40 საკლასო ოთახი, რომელიც არის დიდი, ნათელი და მოსწავლეთა რაოდენობის შესაფერისი ინვენტარითაა აღჭურვილი. სკოლაში არის 1330 მერხი და 1383 სკამი. ციფრული ტრანსფორმაციის გეგმაში მოცემულია, რომ სკოლის სარგებლობაში არის 55 მუშა კომპიუტერი, 4 პრინტერი, 12 პროექტორი, ტელევიზორი 2, ერთ-ერთი განთავსებულია დერეფანში. სასწავლო პროცესი ორ ცვლაში მიმდინარეობს. ამ ეტაპზე სკოლა ემსახურება 1273 (I ცვლაში - 1013, ხოლო II-ში - 260). მოცემული რესურსებით ვფიქრობთ, სკოლა შეძლება 1700 მოსწავლის მომსახურებას. სკოლაში ასევე, არის დირექციის, კანცელარიის, სამედიცინო კაბინეტები, დარაჯის ოთახი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, რესურს ოთახი, 2 შიდა სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, კვების ბლოკი და სხვა. თითოეული ოთახი აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია კოლბებით, ქიმიური რეაქტივებით, მულაჟებით, თვალსაცინოებებით და სხვა ნივთებით. სამასწავლებლოში განთავსებულია მაგიდები, სკამები. სკოლას აქვს პიანინო და დინამიკები, რომელთა გამოყენება ხდება სხვადასხვა ღონისძიებების დროს. სკოლას შედგენილი აქვს ბიბლიოთეკის დებულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, გაწერილია მუშაობის განრიგი და გამოკრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში წიგნები განლაგებულია ანბანური თანმიმდევრობითა და ჟანრობრივი მახასითებლების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკარი თავისი პირდაპირი ფუნქციის გარდა ეხმარება მასწავლებლებს პროექტებისა და სხვა აქტივობების ჩატარებაში. ბიბლიოთეკას ამ ეტაპზე, არ გააჩნია საბიბლიოთეკო ელექტრონული კატალოგი, მაგრამ სკოლა გამოხატავს მზაობას და მომავლისთვის გეგმავს, ელექტრონული კატალოგის გამოყენებას. სკოლაში ასევე არის სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახები, ბიჭების, გოგონების, პერსონალის და სსსმ პირისთვის განკუთვნილი სველი წერტილები. სკოლას აქვს ეზო და შენობის შესასვლელში დიდი სივრცე, სადაც შესაძლებელია მოსწავლეთა შეკრება და სხვადასხვა სახის აქტივობების გამართვა. სკოლაშ არის გარე სპორტული მოედანი, რომელსაც არ აქვს ხელოვნური ბალახის საფარი, რაც არსებულ ტერიტორიას გამოუსადეგარს ხდის სპორტული აქტივობებისთვის. ლაბორატორიაში არის სავენტილაციო სისტემა. ადმინისტრაციის ყველა წევრს აქვს სამუშაო ოთახი აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლას არსებული ქონება გადაეცა უვადოდ, რაც იძლევა გარანტიას, რომ ავტორიზაციის ვადით უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალური რესურსით. რესურსოთახში განთავსებულია 2 ცალი საოფისე მაგიდა, 4 საოფისე სკამი. 3 კარადა, 1 კარავი, 3 “პუფი”, 1 დაფა, 2 მოსწავლის მერხი, 4 მოსწავლის სკამი, ბატუტი და 1 პრინტერი.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და იძლევა სხვადასხვა აქტივობების სრულფასოვანი ჩატარებისა და დასვენების საშუალებას. სკოლაში არის საერთო სარგებლობის შემდეგი სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, 2 შიდა სპორტული დარბაზი (აღჭურვილი სათნადო ინვენტარით, კერძოდ, ფეხბურთის, კალათბურთის და რაგბის სხვადასხვა ზომის ბურთებით, კალთბურთის ფარებით, ტენისის მაგიდებით და სხვა), ბიბლიოთეკა, რომელშიც არის სამკითხველო სივრცე. ბიბლიოთეკაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი (რესურსოთახი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და სამასწავლებლო. მასწავლებლებისთვის გამოყოფილია ოთახი, სადაც განთავსებულია ლეპტოპები. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს/თანამშრომლებს კვებით, კერძოდ, სკოლას კანონმდებლობის სრული დაცვით გაიჯარებული აქვს სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი, სასკოლო კვების ობიექტის (ბუფეტის) ფუნქციონირების მიზნით. სასკოლო კვების ორგანიზებისას გაითვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის N410 ბრძანებით გათვალისწინებული სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციები. სკოლას შემუშავებული აქვს საზიარო სივრცეებით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს საზიარო სამუშაო სივრცეების გამოყენების წესებსა და პირობებს.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა სამსართულიანია. სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი, პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. დასკვნის პროექტის მიხედვით სკოლას არ ჰქონდა ლიფტი და/ან მოძრავი პანდუსები, საზიარო სამუშაო სივრცეები განთავსებული იყო შენობის მეორე და მესამე სართულზე, რაც შშმ მოსწავლეებისთვის გადაადგილების ბარიერს შექმნიდა. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა ფოტოსურათები, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლაში დამონტაჟდა მოძრავი პანდუსი.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. 3.5.1.3 ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის დერეფნები არის ფართო, როგორც გარე, ასევე შიდა სივრცეში არის სარეკრეაციო ზონები და თავისუფალი სივრცეები სხვადასხვა შემეცნებითი და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად. სკოლის ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, სპორტული მოედნები, კომპიუტერული ლაბორატორიები, სკოლის ეზო და ფართო და ნათელი დერეფნები, მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩატარების საშუალებას იძლევა, რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას და უზრუნველყოფს სკოლა ჩამოყალიბდეს ერთიან სოციო-კულტურულ სივრცედ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსები.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის (ისტ-ის მიმართულებით), მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები.

საბუნებისმეტყველო მიმართულებით: საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით.

სპორტის გაკვეთილებისთვის - შიდა და გარე სპორტული დარბაზი/სივრცე. სკოლას აქვს სპორტის გაკვეთილების განსახორციელებლად საჭირო მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარი.

საბაზო და საშუალო საფეხურები:

საბუნებისმეტყველო მიმართულებით:

სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია გამწოვი სისტემებით. ლაბორატორიული სამუშაოებისთვის განკუთვნილ ოთახში განთავსებულია წყლის ონკანი. საბუნებიმეტყველო ლაბორატორიას აქვს დამხმარე ოთახი, სადაც კარადებში და ყუთებში განთავსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა. ქიმიური რეაქტივები მარკირებულია და ინახება წესის შესაბამისად. ლაბორატორიაში არის ყველანაირი პირობა, კურიკულუმით გათვალსიწინებული პრაქტიკული სამუშაოს ჩასატარებლად.

სპორტის გაკვეთილებისთვის - სკოლაში არის სპორტული დარბაზი, ასევე, ეზოში არის სპორტული მოედანი, თუმცა ამ ეტაპზე არ გამოიყენება სპორტული აქტივობებისთვის, რადგან არ არის დაფარული ხელოვნურბალახიანი საფარით.

კომპიუტერული კლასი - საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ციფრული რესურსების განხორციელებისთვის.

სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის, როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა, რომელიც დალაგებულია ანბანური თანმიმდევრობით. წიგნადი ფონდის რაოდენობა არის 22 000-მდე ერთეული. წიგნები დამოწმებულია ბიბლიოთეკის ბეჭდით. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას აქვს სხვადასხვა სახის თემატური თვალსაჩინოებები: რუკები, გლობუსები, პლაკატები, ცხრილები, მოდელები და სხვა საჭირო რესურსები. წარმოდგენილი რესურსებით სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმებით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 04/06/2013;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 03/02/2023;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ფოტოსურათები;
- ბრძანება N2-119 - სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს „ციფრული განვითარების გეგმა“, რომელიც წარმოადგენს სკოლის ხედვას საგანმანათლებლო საქმიანობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობაზე და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: კომპიუტერულ ტექნიკას; ელექტრონულ რესურსებს; მონაცემების მოგროვებასა და დამუშავებას; საგანმანათლებლო აქტივობებს; პრობლემების გადაჭრას (კიბერ უსაფრთხოება, ტექნიკური პრობლემები); ინიციატივებს.

ციფრული განვითარების გეგმით აღწერილია სკოლის ახლანდელი ინფრასტრუქტურა და განსაზღვრულია სამომავლო გეგმები. ამჟამად სკოლაში, მუშა მდგომარეობაში არსებული კომპიუტერების რაოდენობაა 55 კომპიუტერი, რომლებიც გადანაწილებულია კომპიუტერების ლაბორატორიაში, ადმინისტრაციაში, ბიბლიოთეკაში, სკოლას აქვს 12 პროექტორი, 4D პრინტერი. სკოლის

შეფასებით, სრულფასოვანი ტექნოლოგიური პროცესების წარმართვისათვის საჭიროა: მინიმუმ 40 ცალი კომპიუტერი(კომპლექტი), 20 პროექტორი და 5 პრინტერი.

მოსწავლეებისთვის საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. სკოლა გეგმავს სამასწავლებლო აღჭურვოს საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით. ადმინისტრაციას ცალკე საზიარო სამუშაო სივრცე არ ჭირდება, რადგან ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით.

მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია საინფორმაციო მენეჯერი.

სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერზე ხელმისაწვდომია ინტერნეტი. WiFi სისტემა უზრუნველყოფს სკოლის შენობის ინტერნეტით დაფარვას. ინტერნეტის გაუმჯობესების მიზნით სკოლა გეგმავს თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, შიდა უსადენო და სადენიანი ქსელის მოწყობას.

რაც შეეხება საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებას, სკოლაში არსებული ყველა კათედრა აქტიურად იყენებს ციფრულ რესურსებს, როგორიცაა საპრეზენტაციო პროგრამა, კურიკულუმებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსებისთვის შესაბამის საგანმანათლებლო აპლიკაციები. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელსაც აქტიურად იყენებს სასკოლო საზოგადოებისა, თემის ინფორმირებისთვის და საკომუნიკაციოდ. სკოლა გეგმავს ვებგვერდზე დაამატოს ონლაინ გამოკითხვის კითხვარების მოდული, ეფექტური კომუნიკაციისა და უკუკავშირისთვის. რაც შეეხება კიბერ უსაფრთხოების და ტექნიკური პრობლემების უზრუნველსაყოფად, სკოლა გეგმავს კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით პლაკატების, ბროშურების დამზადებას და მოსწავლეებს, მასწავლებლებს და ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის გავრცელებას.

სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე არსებული კომპიუტერების რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს სკოლის საჭიროების დაკმაყოფილებას კომპიუტერული ტექნიკით, თუმცა რამდენადაც სკოლა გააზრებული აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპიუტერული ტექნიკის როლი სასწავლო პროცეში და წარმოადგინა ,,ციფრული განვითარების გეგმა“ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაგეგმილი ღონისძიებები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ციფრული განვითარების გეგმიდან, ჩანს, რომ სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცეები, კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებული კომპიუტერული ტექნიკა და შესაძლებელია მისი მიზნობრივი გამოყენება, სკოლის მიერ შემუშავებული ,,სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესის“ შესაბამისად. აღნიშნული წესი მოიცავს ინფორმაციას სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების შესახებ და ზოგად წესებს რესურსებით სარგებლობით, ასევე ბიბლიოთეკით და კომპიუტერით, ინტერნეტით სარგებლობის წესებს. სკოლა განსაზღვრული ჰყავს ამ წესის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი 3.6.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- მატერიალური რესურსებითა და საზიარო სამუშაო სივრცეებით სარგებლობის წესი;
- სკოლის ვებ-გვერდი;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია საქმის წარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომელიც ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას. საქმისწარმოების მასალების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში საქმისწარმოება ხდება შესაბამისი ინსტრუქციების გათვალისწინებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლის პერსონალთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებას მინიჭებული ჰქონდა სარეგისტრაციო ნომერი და რეგისტრირებული იყო ჟურნალში. არ იყო რეგისტრირებული მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები. *მიზანშეწონილია, სკოლამ დაარეგისტრიროს მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.*

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.

ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული საჭირო ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას.

წარმოდგენილი მასალების დათვალიერებით დგინდება რომ, სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის უწყებებთან და აწვდის დროულ უკუკავშირს. კერძოდ, ავსებს თვითშეფასების კითხვარს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ასევე ხარვეზის გამოსწორების მასალებს. თანამშრომლობს ვაკე-საბურთალოს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან დროულად აწვდის ინფორმაციას საფეხურის დაძლევის, მედალოსნების, ექსტერნის გამოცდებისა სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- საქმისწარმოების წესი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი http://skola128.edu.ge/index.html და ფეიბუქგვერდი, https://www.facebook.com/profile.php?id=100061509324726, რომლებიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. კერძოდ, საკომუნიკაციოდ მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით ვებ-გვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. კერძოდ, სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია მოსწავლეთა ჩარიცხვის და გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურები. ფეისბუქგვერდზე განთავსებულია სასკოლო აქტივობების დამადასტურებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასალები და ინფორმაცია კონკურსებში მონაწილეობის შესახებ. ვებ-გერდის და ფეისბუქგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტი და სანდო ინფორმაციის გავრცელებას.

ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, სადაც გაწერილია მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიები. კერძოდ, მშობელთა კრებები, Teams-ის ან Zoom-ის პლატფორმა; ელექტრონული ჟურნალები; ყოველდღიური კომენტარები; მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები; ელექტრონული ფოსტა და ტელეფონი. სოციალური ქსელი, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი და ყოველდღიურად თავსდება დეტალურად აღწერილი საშინაო დავალებების და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები (გარდა აკადემიური მოსწრებისა). ,,სკოლის ციფრული განვითარების გეგმის“ მიხედვით ვებ-გვერდზე იგეგმება კითხვარების და გამოკითხვების მოდულის ჩაშენება. რაც კიდევ უფრო გაამარტივებს კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი იძლევა უკუკავშირის მიღების საშუალებს, კერძოდ შესაძლებელია წერილის მიწერა, ასევე ვებ-გვერდზე არის ელ.ფოსტის მისამართი და გამოქვეყნებულია სკოლის ტელეფონის ნომერიც. სკოლა უკუკავშირის შედეგებს გაითვალისწინებს საქმიანობის შესაფასებლად და გაუმჯობესების გზების დასახვისთვის.

ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი http://skola128.edu.ge/index.html, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, ორგანიგრამა, სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები და სკოლის მიერ განსახორციელებელი პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები. საფეხურის დაძლევის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირობები. შეთავაზებული სერვისები ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. გასაჩივრების მექანიზმები გვხვდება სკოლის შინაგანაწესში. რამდენადაც სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია ფინანსური მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში ჯერ სკოლას არა აქვს.

ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- ვებ-გვერდი - http://skola128.edu.ge/index.html
- ფეისბუქ გვერდი - https://www.facebook.com/profile.php?id=100061509324726

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში. დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. თითოეული სტრუქტურა, სკოლის დირექციას სამსახურებრივი ბარათით აწვდის ინფორმაციას მომავალი წლისთვის საჭირო შესასყიდის შესახებ. სკოლას ბიუჯეტის დაგეგმვისას გათალისწინებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაანსაზღბრული რესურსების შეძენა. დირექტორის ანგარიშიდან ჩანს, რომ დამდეგი სასწავლო წლისთვის განსაზღვრული ისეთი მიზნობრივი ხარჯებიც, რომლებიც სავარაუდოდ მოიაზრება, რომ აისახოს ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ფინანსური ანგარიშგების ფორმა;
- ცვლილების ოქმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. კერძოდ, სკოლის შინაგანაწესში გაწერილი ინფორმაცია მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის, პასუხისმგებლობის სახეების, დისციპლინური წარმოების წესისა და წახალისების შესახებ. სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს, სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორ ხდება მოსწავლეთა უფლებების დაცვა სხვადასხვა შემთხვევაში, მაგალითად ელ. ჟურნალის წარმოებისას, თიმსის პლატფორმის გამოყენებისას. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შიდა კონტროლის მექანიზმები, სადაც განსაზღვრავს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულების, ასევე სკოლის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ხარისხის მონიტორინგის წესებს. მოსწავლეთა უფლებებსა და ძირითად გარანტიებს არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი, მოსწავლეთათვის ქვიზებისა და გამოცდების ჩატარებისა და გასაჩივრების წესები, სემესტრული და ექსტერნის გამოცდის ჩატარების მექანიზმები, ინკლუზიური განათლების რეგულაციები, მათ შორის ისგ შემუშავებისა და შინ სწავლების პირობები. დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია მოსწავლესა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდოს ინფორმაცია გაცდენებისა და მოსალოდნელი ექსტერნის გამოცდების შესახებ. სკოლაში, დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის უსაფრთხოების შესახებ. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა რეფერირების პროცედურა, განსაზღვრული ჰყავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, უკონტაქტო ზედაპირ დათალიერებაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზეც ატვირთულია სკოლის შინაგანაწესი, მათემატიკის მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, გასაჩივრების დეტალური პროცედურები. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლის შიდა სივრცეში გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისთვის საჭირო საკონტაქტო ინფორმაცია.

ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით, არის მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია საჯაროდ ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადის, შეწყვეტის წესისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ვებ-გვერდი - http://skola128.edu.ge/index.html ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- ბრძანება N2-20 - სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ;
- ბრძანება N1/კ-03 - პერსონალურ მონაცემთა მონიტორიგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება N2-412 ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული - სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N2-175 - სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება N1/კ-65 უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება N2-357 სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის დირექტორის 2016 წლის 13 ოქტომბრის „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“ N2-413 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი N4;
- თვითმმართველობის დებულება;
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით, სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი“. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება და საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა, მოსწავლეთა სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრებას მონიტორინგს უკეთებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასის დამრიგებელი. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი, საქმისმწარმოებელი, რომლის ვალდებულებაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დაძლევისა და სტატუსის შეჩერების წესი გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ; იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის ნიშანები საშუალოზე დაბალია, დამრიგებელი ვალდებულია, გააფრთხილოს მშობელი და მოსწავლე იმის შესახებ, რომ სასწავლო წლის ბოლომდე (ან მომდევნო სასწავლო წელს) აუცილებელია მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა, რათა მოსწავლემ შეძლოს საფეხურის წარმატებით დაძლევა. დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ. სკოლის ვებ-გვერდზე მოცემულია ინფორმაცია სასკოლო კლუბებისა და წრეების შესახებ. ვებ. გვერდისა და ფეისბუქ გვერდის საშუალებით, ხელმისაწვდომია ყველა სიახლე და სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდზე და ფეისბუქ გვერდზე განთავსებულია სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. ასევე, დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი შვილისა და სკოლის სერვისების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის საკითხები ინდივიდუალური შეხვედრების დროს გააცნონ.

ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესი;
- ბრძანება N2-166 სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლაში 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში XII კლასის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის მსურველთა ელექტრონულად, სპეციალურ პროგრამაში რეგისტრაციის შესახებ;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება/სადამრიგებლო პროგრამები;
- მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის ბრძანებები;
- წრეების შექმნის ბრძანებები და წრის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- სკოლის ვებ-გვერდი/სოციალური ქსელი - http://skola128.edu.ge/charicxvos%20wesesebi.html

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, რომელშიც აღწერილია მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. სსსმ მოსწავლის, ეთნიკური უმცირესობის, სოციალურად დაუცველი და იმ მოსწავლეების, რომელთაც ფსიქოლოგიური სტრესის გადატანა მოუხდათ. სკოლაში შემოსვლისთანავე დგება ტრანზიციის გეგმა. ტრანზიციის საფეხურებია: მოსწავლის პირველ კლასში რეგისტრაცია; ოჯახისა და ბავშვის მზადება სკოლისთვის; სკოლის მზადება ბავშვების უმტკივნეულო ტრანზიციისთვის. ტრანზიციის პროცესში მონაწილეობს სკოლის დირექცია, სპეციალური მასწავლებელი, ასისტენტი, ფსიქოლოგი და სხვა.

სკოლა, ყველა ახალგადმოსულ მოსწავლეს უწევს დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობელს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებსა თუ თავისებურებებზე. სკოლის ადაპტაციის მექანიზმი ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზადყოფნის დადგენას, რაც მოიცავს სამ სფეროს: ფიზიკურს, ფსიქოლოგიურსა და პიროვნულს.

სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია „სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტში და არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი.

ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. „მოსწავლეთა ადაპტაციის წესიდან“ და სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმები ხელს უწყობს სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეთა ადაპტაციას ახალ სასწავლო გარემოსთან. კერძოდ, დამრიგებლები გამოიყენებენ ანკეტირებას და კითხვარებს მშობლებისთვის, მასზე დაყრდნობით წარიმართება ურთიერთობა მშობელთან და მოსწავლეებთან და დაიგეგმება განსახორციელებელი აქტივობები.

ადაპტაციის პროცესში მნიშვნელოვანია დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლების კომუნიკაცია მოსწავლის მშობელთან. სსსმ მოსწავლის შემთხვევაში შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელიც მუშაობს მოსწავლეთა ტრანციის მიმართულებითაც. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი თანამშრომლობს ადრეული განვითარების სპეციალისტებთან, ფსიქოლოგებთან, ქცევის თერაპევტებთან. ამგვარად, სკოლას აქვს მზაობა, უზრუნველყოფს მოსწავლეების უმტკივნეულო ადაპტაციის პროცესის მართვა.

ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია დამრიგებლის ვალდებულებები, გააცნოს მოსწავლეს/მშობელს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მექანიზმები. კერძოდ, სემესტრის მიმდინარეობისას და დასასრულს, კლასის დამრიგებლები ვალდებულნი არიან ინდივიდუალურად მიაწოდონ მშობლებს ინფორმაციას შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული და საშემოდგომო გამოცდები, დამატებითი ქვიზები. აღნიშნულთან დაკავშირებით ხდება მშობლების ინფორმირება დამრიგებლის მიერ მშობელთან კომუნიკაციის წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმა წინასწარ განსაზღვრავს სკოლაში წლიური, სემესტრული, ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესებსა და პირობებს, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესებს. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. იგი, ასევე საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის ვებ. გვერდზე. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში და უცხადებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა წახალისების ფორმები. სკოლის მიერ დაგეგმილი საკლუბო და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია თავსდება სკოლის ვებ-გვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. სკოლაში ფუნქციონირებს და მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას შემდეგი კლუბები და წრეები: გახანგრძლივებული წრე, ვოკალის წრე (I-VI), კარატეს წრე (I-XII), ნორჩ მათემატიკოსთა და პროგრამისტთა წრე (V-IX),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჭადრაკის წრე (I-VI), კლუბები: სამოქალაქო განათლების კლუბი „ლორაქსი“, ნორჩ-შემოქმედთა კლუბი „წიგნიერი თაობა“, ეკო-კლუბი „მწვანე კლუბი“, კლუბი „ალგორითმიკა“, კლუბი „ატომების ოჯახი“.

სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები საჭირო რესურსების მიწოდებისა და სამუშაო სივრცის გამოყოფის მიმართულებით. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით სკოლაში გამოიყო სივცე, სადაც შეგროვდება პლასტმასის ნარჩენები, ხოლო გარკვეული რაოდენობის დაგროვების შემდეგ გადასცემენ ორგანიზაცია „ტენე“-ს. ასევე, მოსწავლეთა და მშბელთა ინიციატივით მოეწყო სკოლის რეკრეაციული ზონა და დაირგო მცენარეები.

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან. კერძოდ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელთან ერთადაც ახორციელებენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთობლივ კონფერენციას.

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები. ნიმუშის სახით, სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კმაყოფილების კითხვარი და შესაბამისი რეფლექსია. სკოლა ახორციელებს დაკვირვებებს, აფასებს გაკვეთილს, მასწავლებელს, გამოყენებულ მეთოდებსა და ახდენს მასზე სათანადო რეაგირებებს.

ამრიგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლა იკვლევს და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა/მოსწავლეთა/მასწავლებელთა კითხვარები და ანალიზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- ბრძანება N2-19 - სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულების(კომუნიკაციის წესის) დამტკიცების შესახებ;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეებისათვის სკოლა უზრუნველყოფს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება IX-XII კლასების მოსწავლეებისათვის ხორციელდება სადამრიგებლო პროგრამების ფარგლებში და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. მუშაობა მიმდინარეობს სასწავლო პროექტებით. პირველ ეტაპზე კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციებს სხვადასხვა პროფესიებზე, უყვებიან კოლეჯებზე, პროფესიულ სასწავლებლებსა და უმაღლეს დაწესებულებებზე (რა ტიპის სპეციალობებია, რა ფაკულტეტებია, მიღების როგორი წესები აქვთ, რა ტიპის კონკურსების გავლა მოუწევთ და სხვა), აცნობენ დაწესებულებების ჩამონათვალს. შემდეგ

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება საინტერესო პროექტები პროფესიების გასაცნობად. სკოლა ჩართული იყო კონკურსში "Technovation Girsl", რომელიც ტექნოლოგიების მიმართულების გოგონების როლის გააქტიურებას ეძღვნება.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს აწვდის სანდო და განახლებულ ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით წლის განმავლობაში გეგმავს უამრავ აქტივობას. მაგალითად, 2022-2023 სასწავლო წელს სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის IX-XI მოსწავლეები ესტუმრნენ ავერსის ფარმაცევტულ ქარხანას, რომელიც დეტალურად დაათვალიერეს, გაეცნენ ქარხანაში მუშაობის სტილს, წამლების დამზადების სპეციფიკას, სააფთიაქო ქსელში გაგზავნამდე პროდუქტის მიერ გასავლელ გზებს და სხვა.

მოსწავლეებისათვის პროფესიების გაცნობაში ჩართულნი არიან თავად სკოლის მშობლები და კურსდამთავრებულები. მიმდინარე წლის ოქტომბერში სკოლის კუსდამთავრებული, სან დიეგოს სახელობის უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი XI-XII კლასების მოსწავლეებს ესაუბრა ქიმიის, როგორც მეცნიერების გამოყენებასა და აქტუალობაზე. შემდეგ მოსწავლეები მიიწვია უნივერსიტეტში სახალისო და შემეცნებითი ექსპერიმენტებში მონაწილეობისათვის. ბოლოს კი გაიმართა ვიქტორინა ჯგუფებს შორის. ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი, ხოლო გამარჯვებულებს სერთიფიკატთან ერთად სიმბოლური საჩუქრები.

რობოტექნიკით და უახლესი ტექნოლოგიებით დაინტერესებული მოსწავლეებისათვის ჩატარდა ლექცია და ვორქშოფი არდუინოს გამოყენების შესახებ. 2022 წლის 17 ნოემბერს სკოლას ეწვია საქართველოს უნივერსიტეტის FabLab ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ცერნის ATLAS კოლაბორაციის წევრი ფიზიკოსი - ნუგზარ მოსულიშვილი. FabLab ლაბორატორიის მიზანია ქვეყანაში ინოვაციური ბიზნეს იდეებისა და პროექტების განხორციელების ხელშეწყობა. ბატონმა ნუგზარ მოსულიშვილმა მცირე ლექცია ჩაუტარა X-XI კლასის მოსწავლეებს არდუინოს გამოყენების შესახებ, ესაუბრა ინოვაციურ პროექტებზე, რომლებსაც უნივერსიტეტის სტუდენტები და მოსწავლეები ახორციელებენ მისი დახმარებით. ლექციის შემდეგ, მოსწავლეები ჯგუფებად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაიყვნენ. მათ დაურიგდათ არდუინოები და საჭირო ელექტრონული კომპონენტები. ბატონი ნუგზარისა და ფიზიკის მასწავლებლის ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა ააწყვეს მოწყობილობა, რომელიც რეაგირებდა ხმაზე: მოსწავლეები მას აძლევდნენ ხმოვან ბრძანებას, რის შედეგადაც ნათურა ირთვებოდა. ეს ვორქშოფი მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ და გამოთქვეს სურვილი, რომ თვითონაც ჩართულიყვნენ ასეთ პროექტებში.

მშობლების ინიციატივით ჩატარდა შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში წარმატებულ სპორტსმენებთან, სკოლაში მოწვეულები იყვნენ კალათბურთელი გიორგი ცინცაძე და ხრიდოლის მწვრთნელი თორნიკე ფოლადიშვილი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროფესიების გაცნობის მიზნით სკოლაში ჩატარდა XII კლასის მოსწავლეებთან თავისუფალი უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის, გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის თანამშრომლებთან საინფორმაციო შეხვედრები.

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს, მიიღოს მათგან უკუკავშირი და გამოიყენოს მომდევნო წლის აქტივობების დასაგეგმად.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი/სოციალური ქსელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბრძანება N2-341 2022-2023 სასწავლო წელს სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლაში მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით ჭადრაკის წრის შექმნის შესახებ;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, სადაც გაწერილი სსსმ და შშმ პირის ტრანზიციის დანერგვის მექანიზმები. ასევე, კონფიდენციალური და ეთიკური პრინციპების დაცვის ვალდებულებები მხარეებთან ურთიერთობის დროს.

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები და პრინციპები; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, გაცდენების აღრიცხვისა და დასწრების წესი. სსსმ მოსწავლეების შინ სწავლებისა და მათი წახალისების მექანიზმები. ნიმუშის სახით წარმოდგენილია ისგ-ს ფორმა. შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ამზადებს შიდა მონიტორინგის დასკვნას და გასცემს რეკომენდაციებს.

ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობის დონის ზრდას. სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში გამოყოფილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი რესურს ოთახი შესაბამისი აღჭურვილობით.

სკოლას შემუშავებული აქვს ტრანზიციის გეგმა, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები და სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჯგუფი გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს სსსმ მოსწავლეების უმტკივნეულო ტრანზიციის მიზნით. სსსმ მოსწავლეთა განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი: საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, სპეც. მასწავლებელი, მოსწავლის ასისტენტი, ფსიქოლოგი. ისინი თანამშრომლობენ და მუდმივ კომუნიკაციაში არიან ერთმანეთთან. სასწავლო წლის დასაწყისში, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი აწყობს შეხვედრას მასწავლებლებთან, სადაც განიხილავს წლის დასაწყისში განსახორციელებელ სამუშაო გეგმას, ამის შემდეგ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები. ისგ ჯგუფი შეხვედრებზე განიხილავს მოსწავლის საჭროებებს და ერთობლივად გეგმავს საქმიანობას.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის მასალები;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმები ინდ. გეგმების დამტკიცებაზე;
- ისგ ჯგუფის ოქმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება და დებულება;
- მონიტორინგის ანგარიში;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;

4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა დამატებითი მომსახურების სახით მოსწავლეებს სთავაზობს როგორც ფასიან, ასევე უფასო სერვისებსაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფასიანი მომსახურებები: ბუფეტი, გახანგრძლივებული სწავლის წრე, ვოკალის წრე(I -VI კლასები), კარატეს წრე(I-XII კლასებში), ნორჩ მათემატიკოსთა და პროგრამისტთა წრე(V-IX), ჭადრაკის წრე(I-VI).

უფასო მომსახურებები: ტრანსპორტით გადაადგილება, სამოქალაქო კლუბი ,,ლორაქსი ‘‘, ნორჩ შემოქმედთა კლუბი - ,,წიგნიერი თაობა‘‘, ეკოკლუბი -,,მწვანე კლუბი’, კლუბი ალგორითმიკა, ლიტერატურული კლუბი ,,გრეინჯერები‘‘, კლუბი ,,ატომების ოჯახი‘‘.

ფასიან მომსახურებებზე მოსწავლეთა ჩარიცხვა ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე და შემდგომ მომსახურების და პირობების შესახებ მშობელსა და სკოლას შორის ფორმდება ხელშეკრულება. კვების სერვისის მიზნით სკოლას იჯარით აქვს გაცემული ფართი ფიზიკურ პირზე, რომელიც მომსახურებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. იჯარით ფართის გაცემა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით. სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ იჯარით გასაცემ ფართზე მიღებულია თანხმობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან და ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან. ფართის იჯარით გაცემა მოხდა აუქციონის წესით. აუქციონში გამარჯვებულ ფიზიკურ პირთან გაფორმებულია ხელშეკრულება.

ინდიკატორი 4.2.4.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული ყველა დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით, სკოლა აწვდის დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაციას აღნიშნული მომსახურებების შესახებ.

ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია

3. ყველა მომსახურება, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ხორციელდება სკოლაში არსებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს. სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული მომსახურებები არის კანონმდებლობის შესაბამისი და უსაფრთხო.

ინდიკატორი 4.2.4.3 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი - http://skola128.edu.ge/damatebiti-momsax.html
- იჯარის პროცედურის მასალები სკოლის კვების ობიექტთან (ბუფეტთან) დაკავშირებით;
- წრეების შექმნის ბრძანებები და წრის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- კლუბების დებულება და პროგრამა;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თბილისის N128 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით ჩანს და პედაგოგებთან გასაუბრებითაც აღინიშნა, რომ სკოლაში, კათედრები ურთიერთშეთანხმებითა და თანამშრომლობით შეიმუშავებენ ეროვნული სასწავლო გეგემის მოთხოვნების შესაბამის კურიკულუმებს. სასწავლო თემების შერჩევისას ითვალისწინებენ სკოლისა და მოსწავლეების საჭიროებების; სკოლის ინფრასტუქტურასა და საგნობრივ, საფეხურებრივ სტანდარტს. დაწყებით საფეხურზე სკოლაში შემუშავებული კურიკულუმის მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების.მშობელთა ბარათების და მშობელთა გამოკითხვის მეშვეობით უზრუნველყოფილია მშობელთა აქტიური ჩართულობაც ამ პროცესში.
სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებას: ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას,ბეჭდვით მასალებს, იყენებს საჯარო ღონისძიებებს ინფორმაცის გაზიარებისთვის, დამრიგებლების შეხვედრას მშობლებთან, დასხვ.სასკოლო კურიკულუმის განახლება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე მოხდება, სადაც გაითვალისწინებენ გასული სასწავლო წლის მიგნებებს, გამოკვეთილ პრობლემებსა თუ საჭიროებებს. სკოლა სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფისთვის შეიმუშავებს კურიკულუმს შესაბამისი რესურსების, შინაარსის, თუ აქტივობების შერჩევისგზით. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია სკოლას სასწავლო გეგმაში აქვს ჩაშენებული და გააზრებულია,როგორც სკოლის მისიის ,ხედვის,ინტერესების და სტრატეგიის განუყოფელი ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს და აკადემიურ უნარებს. ასევე გათვალისწინებულია ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილ სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობა და მშობელთა ინტერესები. სკოლას აქვს სასკოლო - სასწავლო გეგმა, სადამრიგებლო პროგრამები, რომელთა შინაარსი აგრეთვე გათვალისწინებულია სხვადასხვა საგნის შინაარსობრივი საკითხების შერჩევისას და კურიკულუმში ისეთი კომპლექსური დავალებებია გაწერილი, რომელთა შესრულება სასკოლო სივრცეში შესაძლებელია . აღსანიშნავია, რომ სკოლა ატარებს კვლევას "კურიკულუმი და მშობელი", რომელშიც ჩანს მშობელთა თანამონაწილეობა და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი. საგნობრივი კურიკულუმები ისეა შემუშავებული, რომ წლის განმავლობაში მოსწავლეებმა სხვადასხვა ტიპის დავალებებზე შეძლონ მუშაობა.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმყოფილებულია

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ : მოსწავლეების ინიციატივები, მათი საჭიროებები განაპირობებს კომპლექსური დავალების მრავალფეროვნებას ; სხვადასხვა კლასის მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე ერთად მუშაობენ, საბოლოო ვერსიას განიხილავენ ადმინისტრაციასთან და მშობლებთან ერთად. მშობლებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალების ბარათები. შემდეგ მათ დეტალურად აცნობენ მშობელთა კრებებზე, განიხილავენ კათედრებზე. გარდა ამისა, სკოლას აქვს ჩატარებული მშობელთა კვლევა, რომელშიც კარგად იკითხება, რომ სასკოლო საზოგადეობა მონაწილეობს შემუშავების პროცესში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს სხვა სტარტეგიების შემუშავებაზე,კერძოდ, სამომავლოდ შესაძლებელია გამოიკითხნენ მშობლები - როგორ მიიღებენ მონაწილეობას კომპლექსური დავალებისა და მნიშვნელოვანი აქტივობების შემუშავებასა და განხორციელებაში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართული მშობლები. მაგალითად, მათი მონაწილეობით 2022-2023 სასწავლო წელს განხორციელდა სასკოლო პროექტები ,,კულტურული მემკვიდრეობა" და პროექტის „მშობლები ჩვენ გვერდით". გარდა ამისა, სკოლაში დაწყებითი კლასების მოსწავლეების მშობლებმა შეავსეს კითხვარი, რომელიც შეეხებოდა მშობელთა ჩართულობას კურიკულუმის დაგეგმვა-განხორციელებაში. აღნიშნული კვლევის მიხედვით, მშობლების 22% გამოთქვა სურვილი მიეწოდებინა თავისი რეკომენდაციები კონკრეტული საგნის სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შემუშავებაში, ხოლო კომპლექსური დავალების შედგენაში მონაწილეობის სურვილი მშობლების 32%-მა გამოთქვა, აღნიშნულ და სხვა საკითხების განხილვის შემდეგ მასწავლებლები და მშობლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეთანხმდნენ, რომ მშობლების გამოკითხვის შედეგებს გაითვალისწინებდნენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმყოფილებულია

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგების მიერ მიწოდებული მშობელთა ბარათები დეტალურად ჩაშლილი ინსტრუქციებით, სრულ წარმოდგენას უქმნის მათ,თუ რა ტიპის სამუშაოს შესრულება უწევთ.სკოლის სოციალურ სივრცეში განთავსებული მასალები მისაწვდომია და უფრო მეტად შეუწყობს ხელს კურიკულუმის საზოგადოებისათვის გაზიარებას.სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს მიკუთვნებულობის განცდა,რასაც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმირება სასკოლო სივრცეში მომხდარ თითოეულ სიახლეზე,აქტიური უკუკავშირი მათთან და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ჩართვა პროცესებში.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ანალიზი "კურიკულუმი და მშობელი-კვლევა";
- "კურიკულუმი და მშობელი"-კვლევა;
- სამუშაო შეხვედრის ოქმი;
- კათედრის ოქმი;
- პროექტი „მშობლები ჩვენ გვერდით"

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში ასახულია კომპლექსური ტიპის რამდენიმე დავალება, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლეზე ორინეტირებულობასა და ზოგადად, კონსტრუქტივისტული მიდგომების დანერგვას სასწავლო პროცესში. მაგალითად, მე-6 კლასის კურიკულუმში მოცემულია დავალება, რომლის მიხედვითაც, მოსწავლემ დამოუკიდებლად უნდა შექმნას იგავი პირობით შეთავაზებულ მორალურ სენტენციაზე დაყრდნობით. გარდა იმისა, რომ დავალება ძალიან შემოქმედებითია და თავისთავად მოითხოვს მოსწავლის მრავალმხრივი ცოდნა-გამოცდილების გააქტიურებას, თავისი შინაარსითა და მოთხოვნებით ეხმიანება დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტის რეკომენდაციებს. ამასთან, მასწავლებლებმა სიღრმისეულად იმსჯელეს, როგორ, რომელი აქტივობების საშუალებით, დაამუშავებენ სხვადასხვა სამიზნე ცნებასა და ქვეცნებას. აღნიშნული დავალების მაგალითზეც იკვეთებოდა, რომ კათედრას შეუძლია, იხელმძღვანელოს საგნობრივი სტანდარტით, შეარჩიოს დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ინტერესის შესაბამისი სასწავლო თემები, დაგეგმოს შემოქმედებითი აქტივობები. კურიკულუმის თავდაპირველ ვარიანტში იყო რამდნიმე ხარვეზი, მაგალითად, საკითხები არ იყო მართებულად ფორმულირებული, თუმცა მცირე რეკომენდაციის შემდეგ, წარმოადგინეს მეტად სრულყოფილი ვერსია, რითიც დასტურდება, რომ კათედრას აქვს პოტენციალი, სრულყოს კურიკულუმი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებისა და დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების საგანმანათლებლო ინტერესების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ყველა კომპლექსური დავალება მიემართება სამიზნე ცნებებისა და მისაღწევი შედეგებისაკენ, შემუშავებული კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, მასწავლებლის თვითრეფლექსია და ურთიერთშეფასების რეფლექსია საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემა, სამიზნე ცნება, სასწავლო რესურსები. გლობალური ფუნქციური უნარებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტ მაგალითები. კურიკულუმების ჩარჩოებში იყო უმნიშვნელო უზუსტობა დავალების პირობასთან დაკავშირებით, მათ მიეცათ რჩევა დავალების პირობის ზუსტი ფორმულირებით შეტანისათვის კურიკულუმში, რომ უფრო ნათელი იყოს საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობა. მასწავლებლებმა რჩევა გაითვალისწინეს ვიზიტის მეორე დღისათვის და წარმოადგინეს შეცვლილი კურიკულუმები.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესში აქტიურადაა გამოყენებულია უნივერსალური დიზაინი და დიფერენცირებული მიდგომა,ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და არჩეულია ნაცნობი კონტექსტების შემცველი თემები. თითოეული მოსწავლე აღქმულია,როგორც ინდივიდი თავისი უნარებითა და შესაძლებლობებით. წლის დასაწყისშივე ხდება სსსმ მოსწავლეებზე მორგებული ადაპტირებული კომპლექსური დავალებების ბანკის შექმნა კათედრების ურთიერთთანამშრომლობით. საგნის მასწავლებლები სპეცმასწავლებელთან თანამშრომლობით ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, ისგ ჯგუფების მუშაობის მონიტორინგის ჯგუფი.ეს საკმაოდ აქტუალური საკითხი ჩვენი გასაუბრების მეორე დღის წესრიგში მქონდა შეტანილი და საკმაოდ ამომწურავი პასუხები მივიღე პედაგოგებიაგან,როგორც ზეპირი,ისე დოკუმენტური სახით.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრები ქმნიან განმავითარებელი რუბრიკებს (I - IV და

V - VI კლასები) (V და VI კლასები) დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შესასწავლი თემებისთვის, ამ ეტაპზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძევადიანი მიზნებისაკენ, რაც ადასტურებს კათედრებისს მზაობას, ასევე. სკოლა მოსწვალის შეფასების მექანიზმად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებისა და მეთოდიკური ორიენტირებისაკენ.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. როგორც დოკუმენტიდან ჩანს,მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე, რადგანაც სკოლა პირველ ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით, სამომავლოდ განახორციეებს პროცესების მონიტორინგს და მოახდენს სწავლა-სწავლების პროცესში მიღებული წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებას. თითოეული საგნობრივი კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილების ანალიზი, პრაქტიკული გამოცდილება, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებული უკუკავშირი, გაკვეთილის რეფლექსია, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, კათედრის კოორდინირებულმა მუშაობამ ხელი შეუწყო გადამუშავებული კურიკულუმის შექმნას. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნისას გათვალისწინებული იქნა მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებიც.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო კურუკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე სრულად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რის შესაძლებლობას იძლევა საგნობრივ კურიკულუმში მოცემული საინტერესო თემები და შემოქმედებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური ბუნების დავალებები. ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიემართება სამიზნე ცნებების გააზრებამდე. მაგ. ინგლისური ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური ბუნების დავალებები მოამზადე პრეზენტაცია თემაზე „ჩვენი გატაცებები''. მოყევი შენი და შენი მეგობრების გატაცებებზე, სადაც მოსწავლეებმა შემოქმედებითად უნდა გააფორმონ, წარმოადგინონ, ისაუბრონ საკუთარი და მეგობრის სასურველი საქმიანობების შესახებ. დაწყებითი საფეხურის(1-6 კლასები) კურიკულუმებში შეტანილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, პრაქტიკული მიმართულებით დაგეგმილი ფესტივალები და თეორიული მიმართულებით დაგეგმილი მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროექტები, სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე, იძლევა სწავლების თავისუფალი არჩევანის საშუალებას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების და ხელშეწყობის მიზნით, ფიზიკური აღზრდის საგანში კოლეგები ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოსავლენად.

სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს საზოგადოებრივი მეცნიერებების შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც იძლევა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას. მასწავლებლებს კურიკულუმებში გაწერილი აქვთ თემები, სამიზნე ცნებები და კლასტერები და კომპლექსური დავალების იდეები. მაგალითად, მესამე კლასში საგან „მე და საზოგადოებაში" იგეგმება კომპლექსური დავალების - „საკლასო კონსტიტუციის" - განხორციელება, „ჩვენ საქართველოში" იგეგმება შემდეგი კომპლექსური დავალების განხორციელება: „ტურისტული ბუკლეტის შექმნა სათაფლიის ძეგლის გასაცნობად". მოცემული და სხვა კომპლექსური დავალებები საშუალებას მისცემს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. აღნიშნული კომპლექსური დავალებებით დამუშავდება საგნების შესაბამისი სამიზნე ცნებები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მრავალფეროვანია კომპლექსური დავალების ფარგლებში შესაქმნელი პროდუქტებიც: ბუკლეტი, ფოტოკოლაჟი, კომიქსი, მაკეტი...

მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისთვის მასწავლებლები ადგენენ კომპლექსური ტიპის ისეთ დავალებებს, რომლის შესასრულებლად საჭიროა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენება და შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტის სახით წარმოდგენა. (მაგალითად, კომპლექსური ტიპის დავალება" იმგზავრე სწარაფად და უსაფრთხოდ" რომელიც ისტთან ინტეგრირებით ხორციელდება. მე-6 კლასში ჩატარებული გაკვეთილი მუსიკასთან ინტეგრირებით. სკოლას მიჩნია, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლისთვის ფორმალურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება და სხვადასხვა საინტერესო აქტივობების დაგეგმვა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს წინსვლასა და ინდივიდუალური ინტერესების უკეთ წარმოჩენაში, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენაში.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერსები. ტექსტებიც შერჩეულია ისე, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლემ შეძლოს წაკითხულის პირად გამოცდილებაში გადატანა. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები, მასში საკითხები დაყოფილია თემების მიხედვით, თემები მოიცავს საკითხთა კლასტერებს. აღნიშნულ კლასტერებში შემავალი საკითხები ეფუძნება წინარე ცოდნას და გამოცდილებას.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება მრავალფეროვანი სტრატეგიების საშუალებით და აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. დაწყებითი საფეხურის სხვადასხვა საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებიდან კომპლექსური დავალებების ნიმუშებიდან და საგნობრივ სასწავლო პროექტებიდან ჩანს, როგორ გამოიყენება სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი მეთოდები დამოუკიდებლად ცოდნის ასაგებად. კომპლექსური დავალებების ანალიზისთვის მოსწავლეთა რეფლექსიები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების გამოყენება მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუში მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში ისინი ფასილიტატორის როლს ირგებენ და მოსწავლეებს უბიძგებენ, დაკვირვებებით და აღმოჩენებით შეძლონ ცოდნის დაგროვება. ინტერვიუდან გამოიკვეთა რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან აღმოაჩინონ რა იცის და რა არ იცის მოსწავლემ. ისინი სიხარულით მოდიან სკოლაში და არასოდეს ერიდებათ აზრის გამოთქმა.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის ყველა საგნობრივი კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით. მაგალითად, მე-6 კლასში კომპლექსური დავალების „შოკოლადის ორცხობილა“ განხორციელებისას მოსწავლეები იწაფებიან წილადებზე მოქმედებების შესრულებაში. დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს უწევთ გამოთვალონ რა იქნება თითოეული ინგრედიენტის კალორიების წილი მთლიან კალორიულობასთან შედარებით, როგორ ეხმარება არითმეტიკული მოქმედებათა თვისებების ცოდნა ორცხობილის დამზადებისას. მოსწავლეები აცნობიერებენ რამდენად მნიშნელოვანია ორცხობილას და ზოგადად საკვების დამზადებისას რიცხვების და წილადების ცოდნა.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. დაწყებით კათედრაზე სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, ის საკვანძო ასპექტები, სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში. ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება სკოლის მიერ ამოიკითხება არაფორმალურ, პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებში. ასევე, სხვადასხვა თემატიკის გაკვეთილებში, სადამრიგებლო საათების ჩატარების ოქმებსა თუ მშობლებთან თანამშრომლობის ამსახველ ანგარიშებში.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები და პროექტები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფუძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მზადაა, შესთავაზოს მოსწავლეს ისეთი სასწავლო პროცესი, რომელიც მას დაეხმარება პიროვნულ ზრდასა და განვითარებაში, ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რომელიც შეძლებს, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოციალურ ქცევებს შორის. ჩატარებული გასაუბრები შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი შესაძლებლობები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე. დასკვნსი სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა სასწავლო პროცესში გამოყენებული კონტექსტებით უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მასწავლებელებს სიღმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების კერძო რუბრიკები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა. ამას გარდა რუბრიკა ცხადყოფს, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაცაა განზრახული.

გასაუბრებისას სპორტის კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ფლობენ და იყენებენ პრაქტიკაში შეფასების რამოდენიმე ინსტრუმენტს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს დაგეგმილი კომპლესური დავალებისა თუ შემაჯამებელისათვის. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლას **ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის ვერიფიკაციის წესი და დამტკიცების ბრძანება.**

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. ინდიკატორი 2.2.2.5 სრულ შესაბამისობაშია.

6. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. შეფასებები განიხილება ასევე პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დაცულია ოქმების სახით. ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება და განმავითარებელი კომენტარები თითოეულ საგანში გაზიარებულია სასკოლო ელექტრონულ სივრცეში (OneDrive) და მასთან წვდომა თანაბრად აქვთ შესაბამისი კლასის პედაგოგებს, ასევე თითოეული მოსწავლის მშობელს. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 1 წლის ვადით, მომავალში სკოლა აპირებს ვადის 3 წლამდე გაზრდას.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები და შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესის მე-10 და მე-11 მუხლებში გაწერილია მოსწავლის წახალისების სახეები და გამოყენების წესი, რომელშიც მოიაზრება მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა და სხვა. გარდა ამისა, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ხელს უწყობს სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები. მოსწავლეებისთვის თანაკლასელებთან ურთიერთობის მნიშვნელობის გააზრების, სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბების, პარალელური კლასის მოსწავლეებთან ურთიერთთანამშრომლობის სურვილისა და უნარის გაღვივების მიზნით მასწავლებლებმა ერთობლივად ჩაატარეს გაკვეთილი თემაზე „თანაკლასელები და მათთან ურთიერთობა“, რაც ხელს უწყობს სკოლაში მიმღებლობითი გარემოს შექმნას. 2022-2023 წელს განხორციელდა პროექტები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ სახელწოდებით „რა განძი გვქონია“. სკოლაში აგრეთვე განხორციელდა პროექტი „მშობლები ჩვენ გვერდით“, რომლის მიზანი იყო მოსწავლეთა მშობლების ჩართვა სასწავლო პროცესში. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სკოლაში არსებობს ნორჩ შემოქმედთა კლუბი. მისი წევრების მონაწილეობით განხორციელდა პროექტი „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“. პროექტი განხორციელდა კლუბის წევრთა ინტერესის სფეროსა და შესაძლებლობების მიხედვით, რათა თითოეული მოსწავლე იყოს მოტივირებული, თითოეულს მიეცეს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება, გაუჩნდეს წარმატების განცდა. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სასწავლო პროცესში არსებულ მხარდაჭერასა და მიმღებლობაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტორები: ა) კათედრის ყველა წევრი ერთობლივად წარმოადგენდა სკოლას და იცავდა სკოლის ინტერესს ინტერვიუს მიმდინარეობისას; ბ) კურიკულუმი შემუშავდა საერთო ძალისხმევით, რაც გამოიკვეთა მასწავლებელთა უკუკავშირით; გ) წარმოადგინეს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის ფარგლებში ურთიერთდასწრების რეფლექსია, გაცემული/მიღებული უკუკავშირითურთ; დ) ითანამშრომლეს მშობლებთან და გააცნეს მათ კომპლექსური ტიპის დავალებების შინაარსი;

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება“ (ამ მიზნის შესაბამის ამოცანებს შორისაა „მოსწავლეთათვის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის მოტივაციის გაზრდა“), „უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა“ და „მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება“. აღნიშნულ მიზნები ჩაშლილია ამოცანებად და აქტივობებად, რომლებიც მიუთითებს, რომ სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებას წარმოადგენს იზრუნოს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვისთვის. აღნიშნულს აგრეთვე ხელს უწყობს სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმები, რომლებიც მოსწავლეზე მორგებულია და გათვალისწინებულია მისი ასაკობრივი თავისებურებები, მათზე დაყრდნობით სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებები. სკოლაში აგრეთვე შექმნილია არაფორმალური განათლების ხელშემწყობი გარემო, რომლის ფარგლებში მასწავლებლები მოსწავლეების ჩართულობით ახორციელებენ სასწავლო პროექტებს, წარმართავენ საკლუბო მუშაობას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმის შექმნაზე. მასწავლებელი უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, რისთვისაც იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია

3. ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმი, რომელიც შექმნილია კათედრის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კურიკულუმის შექმნისას აქტიურად თანამშრომლობდნენ მშობლებთან და ერთმანეთთან. ამასთან ერთად, საზოგადოებრივი კათედრის წევრების ერთობლივი თანამშრომლობით განხორციელდა ბევრი არაფორმალური აქტივობა: ერთ-ერთი მათგანია ინტეგრირებული პროექტი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ სახელწოდებით „რა განძი გვქონია“. გარდა ამისა, პროექტის - „მშობლები ჩვენ გვერდით“ - ერთ-ერთი მიზანი იყო მოსწავლეთა მშობლების ჩართვა სასწავლო პროცესში. თანამშრომლობასა და კომუნიკაციას ხელს აგრეთვე უწყობს სკოლაში არსებული ნორჩ შემოქმედთა კლუბი. მისი წევრების მონაწილეობით განხორციელდა პროექტი „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რაც სასკოლო საზოგადოების მუშაობის ერთიანი ხედვისა და კომუნიკაციის შედეგია. სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარემოს უზრუნველყოფა და დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მომავალ სასწავლო წელს სკოლაში მეტწილად უზრუნველყოფილი იქნება პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. კათედრებთან ინტერვიუს დროს გამოკვეთა,რომ მასწავლებლები ზრუნავენ შექმნან ისეთი გარემო, რომელიც ხელი შეეწყობს თითოეული პედაგოგის წინსვლასა და წარმატებას, ამისათვის სკოლაში განხორციელდა მასწავლებლებს შორის ურთიერთდასწრების გაკვეთილი, სადაც გაიცა კონსტრუქციული უკუკავშირი. მასწავლელებს შორის ნათლად ჩანდა თანამშრომლბის მაღალი ხარისხი და ერთიანი მიზნიასაკენ სწრაფვა რაც პოზიტიური სასკოლო კლიმატის დასტურია და დადებითად აისახება მოსწავლეთა ურთერთთამოკიდებულებაზეც.

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- გაკვეთილი „პარალელები - თანამშრომლობითი კულტურა“
- პროექტი „კულტურული მემკვიდრეობა“
- პროექტი „მშობლები ჩვენ გვერდით“
- სასწავლო პროექტი „სამშობლო“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამებ
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სასკოლო-სასწავლო გეგმა, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მასში ასახულია, რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასწავლო პროცესზე დაკვირვებისას გათვალისწინებულია წარმატების შეფასების სხვადასხვა ასპექტი: მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, მასწავლებლის პროფესიული განვითარება და სკოლის ინსტიტუციური განვითარება. მოსწავლეების შედეგების ანალიზისთვის სკოლა ამოწმებს მოსწავლეების ნამუშევრებს. მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების გამოვლენის მიზნით სხვა ინსტრუმენტებთან ერთად გამოიყენება გაკვეთილზე დასწრება. თითოეულ კათედრას აქვს პორტფოლიო, რომელშიც მოცემულია კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების განრიგი. სკოლის ინსტიტუციური განვითარების დონის დასადგენად სკოლა იყენებს მოკვლევის შედეგად მოსწავლეთა მიერ გამოკვეთილი საჭიროებების უზრუნველყოფის ანალიზს. სასწავლო წლის ბოლოს კათედრების ხელმძღვანელთა ორგანიზებით პარალელური კლასების მასწავლებლების მიერ იმართება სამუშაო შეხვედრები, სადაც გამოვლინდება ხარვეზები და დაიგეგმება ამ პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. შემდეგ ეტაპზე იქმნება სამუშაო ჯგუფები და მასწავლებლების მონაწილეობით იქმნება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სკოლას აქვს გამოცდილება

კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით, თუმცა პირველადი ავტორიზაციის პირობებიდან გამომდინარე **2.3.1.1 ინდიკატორი ვერ ფასდება**

2. როგორც სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, სკოლაში მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და მათი გამოსწორების ხელშესაწყობად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გასაძლიერებლად. მასწავლებლები ინეტრვიუში აღნიშანვენ, რომ გააუმჯობესებენ სადიაგნოსტიკო ტესტირებების ჩატარების სტრატეგიებს, გააკეთებენ ანალიზს, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომავალ სასწავლო წელს მონიტორინგი და შეფასება მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლები ერთობლივად დაგეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ კათედრის წევრები გეგმავენ სადიაგნოსტიკო წერების საშუალებით გამოავლინონ საჭიროებები, გამოკვეთონ ნაკლოვანებები და ერთად მოიძიონ წარმოშობილ პრობლემებთან მიმართების გამოსავალი კურიკულუმის გადასინჯვისა და შეფასების საშუალებით. სპორტი სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და მათი შეფასების შედეგად პრობლემენის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა 2023-2024;
- სკოლის დირექტორის ანგარიში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწყებითი კათედრის პორტფოლიო.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმები, დირექტორის რეფლექსია სოციალურ პროექტზე, დირექტორის ანგარიში სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შესახებ, კათედრის ოქმი, სადამრიგებლო პროგრამები, სადიაგნოსტიკო ტესტი, შეფასების ცხრილები - სოციალური უნარებისა და აკადემიური მოსწრების დიაგრამა. აღნიშნული დოკუმენტების ანალიზისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებას, საგაკვეთილო შეფასებას, მშობლებთან კომუნიკაციას, გაკვეთილზე ჩართულობას, პროექტის რომელიმე ეტაპს და ა.შ. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მასწავლებლები ქმნიან სასკოლო კურიკულუმებს, შეფასების რუბრიკებსა და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, საკითხები, კომპლექსური დავალებების იდეები იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლე შეფასდეს მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. ამის საშუალებას აგრეთვე იძლევა პროექტული სწავლება, საკლუბო მუშაობა და სხვა აქტივობები, რომლებიც მოსწავლეების ჩართულობით ხორციელდება სკოლაში. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს სოლო ტაქსონომიას და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. მოსწავლეებთან მუშაობის დროს ყურადღება ექცევა პოზიტიურ სასწავლო გარემოს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ჩართულობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერესებსა და შესაძლებლობებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით - განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით, უკუკავშირებით, მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებით შეიძლება ვთქვათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. შეფასებისას კათედრები იყენებს მრავალფეროვან მეთოდს. შეფასების მიზნიდან და საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე, მასწავლებელი, დირექცია, სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირები არჩევენ შესაბამის მეთოდებს და სტრატეგიებს. ინფორმაციის შეგროვება ხდება: გამოკითხვის, ინტერვიუსს, დაკვირვებისა და სხვა შესაბამისი მეთოდების მეშვეობით. აღნიშნული მეთოდები გამოიყენება დიდი მოცულობის ინფორმაციის მოსაპოვებლად. მაგალითად, უცხოური ენების კათედრის წევრებთან საუბრისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს: დაკვირვების ჩანაწერები, შეფასებების შედეგების ანალიზი, აღრიცხვის ფურცელი, შეკითხვების დასმა, ქვიზები, ინტერვიუ, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება. იგივე მეთოდები წარმოდგენილია სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებშიც.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4. მასწავლებლებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასებისას ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკსა და ინდივიდუალურ თავისებურებებს, საგნობრივ სტანდარტს, ახალი ცოდნის წინაპირობის შექმნას, იყენებენ რემედიაციის, დიფერენცირებული მიდგომის პრინციპებს. ამასთან ერთად, გაკვეთილზე იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. გარდა ამისა, წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ სკოლაში იყენებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს, რითაც ხდება მოსწავლის უნარ-ჩვევების განვითარებაზე დაკვირვება. მაგალითად, მათემატიკის კათედრაზე შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის: მოსწავლეთა ასაკობრივი, ფსიქო-ემოციური თავისებურებების, მზაობის, ინტერესების და საჭიროებების, რესურსებზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმები;
- დირექტორის რეფლექსია სოციალურ პროექტზე;
- დირექტორის ანგარიში სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შესახებ;
- კათედრის ოქმი;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- სადიაგნოსტიკო ტესტი;
- შეფასების ცხრილები - სოციალური უნარებისა და აკადემიური მოსწრების დიაგრამა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმების განხორციელების შემდგომ, სკოლა აწარმოებს მის გადასინჯვასა და რევიზიას. პროცედურის მიზანია კურიკულუმის დანერგვის პროცესში გაკეთებული დასკვნების განზოგადება და სამომავლო აქტივობების დაგეგმვა. მთავარ ორიენტირს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი წარმოადგენს. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. მომდევნო სასწავლო წლისთვის იგეგმება, რომ მასწავლებლებმა სვოტ ანალიზით შეაჯამონ თავიანთი პრაქტიკა და მოახდინონ სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავება და კურიკულუმის გადამუშავება.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2. დაწყებითი საგნების კათედრას შემუშავებული აქვს 2023-2024 სასწავლო წლების კურიკულუმი, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას, მასში აგრეთვე გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. ამის მტკიცებულებად გამოდგება კურიკულუმის რევიზიის დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია რომ სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პარალელური კლასების პედაგოგებმა მოაწყვეს სამუშო შეხვედრა, რომელზეც შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა კურიკულუმის გასაუმჯობესებლად. რევიზიისას გათვალისწინებული იქნას სასკოლო მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. მონიტორინგისა და შეფასების გათვალისწინებითა და მასწავლებელთა თანამშრომლობით, რეკომენდაციების საფუძველზე, შეიქმნა კურიკულუმის განახლებული ვერსია. მაგალითად, ტექნოლოგიების მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის რევიზიის ნიმუში.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და ეყრდნობა სკოლის მისიას, ღირებულებებს, სტრატეგიულ გეგმასა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოთვლილია სტრატეგიული მიმართულებები, რომელთა შორისაა სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და სხვა. აღნიშნული მიმართულებები გამომდინარეობს სკოლის მისიაზე დაფუძნებული სკოლის პრიორიტეტებისა და ტრადიციებისგან, ხოლო სასკოლო კურიკულუმი სკოლის მიერ მისიისა და სტრატეგიის სასწავლო პროცესთან დაკავშირებისა და რეალიზების გზა და საშუალებად მიიჩნევა. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი მიმართულებებიდან გამომდინარე, მოსწავლეების საჭიროებების, სასკოლო საზოგადოების მოლოდინებისა და სხვადასხვა სახის რესურსების მიხედვით შეიქმნა სასკოლო კურიკულუმი.საერთო მსჯელობის შემდეგ საგნისა და შესაბამისად, პარალელური კლასის მასწავლებლები იკრიბებიან და განიხილავენ თემებს, გამოყოფენ საკითხებს და აკავშირებენ ცნებებს საკითხებსა თუ ქვესაკითხებს, ჯერდებიან კომპლექსური დავალების პირობასა და განხორციელების ეტაპებზე. ითვალისწინებენ მშობელთა, მოსწავლეთა და დირექციის მხრიდან გამოკვეთილ ინტერესებს, მაგალითად: მშობელთა ჩართულობა უშუალოდ სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა სურვილები კონკრეტული პროდუქტი სხვადასხვა საშუალებითა თუ სახით წარმოგვიდგინონ და შეაქვთ ცვლილება კურიკულიმებში, რათა გაითვალისწინონს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და სასწავლო პროცესი გახდეს მრავალფეროვანი. ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა საბუნებისმეტყველო კათედრის წევრთა ერთსულოვნება, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და სიახლეებზე ორიენტირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების კითხვარში აღწერილია, რომ სკოლას აქვს სასკოლო კულტურა გამოიკვლიოს სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეების და მშობლების ინტერესები, აცნობენ კომპლექსური დავალების ბარათებს, მშობლები ერთვებიან სასწავლო პროცესში და მონაწილეობენ. გამოთქვამენ მზაობას, რომ სამომავლოდ სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოკვლევასა და გათვალისწინებას კურიკულუმების შედგენის პროცესში მიეცეს სისტემატიური ხასიათი, შეიმუშაონ ინტერესთა დასადგენი კითხვარები და მათი ანალიზის საფუძველზე დაიგეგმოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმები. ვიზიტის პერიოდში საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა, რომ ყოველწლიურად შექმნიან ახალი კურიკულუმებს, რომლის ორიგინალურობაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგადაა აქ ასახული წინა წლის/წლების გამოცდილება და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. აღნიშნეს, რომ მშობელთა ჩართულობის სხვადასხვა შესაძლებლობებს გამოიყენებენ, მაგალითად, როგორც ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ან მშობელი როგორც ორგანიზატორი, ცოდნის გამზიარებელი, მასწავლებლები შეეცდებიან კომპლექსური დავალებების პირობა აღებული იყოს ცხოვრებისეული კონტექსტიდან, მისცენ მოსწავლეებს განმავითარებელი უკუკავშირი და ამით უზრუნველყონ მოსწავლეთა ინტერესიანი ჩართულობა კურიკულუმის კარგად დაგეგვმაში, რომელიც მიმდინარე სასწალო პროცესის წინაპირობაა. გამოხატეს მადლიერება სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის მიმართ, რომელიც ორიენტირებულია, რომ სკოლა განიხილებოდეს როგორც ერთიანი ორგანიზმი, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას და პიროვნული ზრდის მხარდაჭერას, ახალისებს მასწავლებელთა ინოვაციურ იდებსა და ასრულებს მამოტივირებელი ლიდერის როლს.

ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმის (2023-2030 წწ.) და განხორციელებული საქმიანობის დოკუმენტების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახული და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მაგალითად, განხორციელებული კვლევის „კურიკულუმი და მშობელი“ საფუძველზე გაკეთდა სათანადო დასკვნები, რომელიც გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლების კურიკულუმის შექმნის პროცესში. გარდა ამისა, კათედრის მუშაობის ამსახველმა მასალამ, 2023-2024 სასწავლო წლების კათედრის სამუშაო გეგმამ, არაფორმალური განათლების ამსახველმა მასალამ (საკლუბო მუშაობა, შემეცნებითი ექსკურსიები, სასწავლო პროექტები...) უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების კურიკულუმში ასახვა.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. აღნიშნული დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, იქნება ეს სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები და სხვა. გარდა ამისა, იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. მართალია სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებში არ ჩანს კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, თუმცა მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, მკაფიოდ ჩანს კათედრის საგნის მასწავლებელთა ჩართულობა იქნება ეს ტიპური სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები, კომპლექსური დავალებების აგებისა და ეფექტურად განხორციელების საშუალებები და სხვა. გარდა იმისა, სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის პროექტის მიმდინარე ვერსია არის გაზიარებული და შეთანხმებული, როგორც საზოგადოებრივი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, ყველა მასწავლებელმა იმუშავა სასკოლო კურიკულუმის შექმნაზე, თუმცა მშობელთა ჩართულობა მხოლოდ კომპლექსური დავალების ბარათებით შემოიფარგლებოდა. ახალი სასწავლო წლისათვის კი იგეგმება უფრო აქტიური ჩართვა, კერძოდ სხვადასხვა კითხვარების საშუალებით მშობლებს გააცნობენ მთლიან კურიკულუმს და გაითვალისწინებენ მათ უკუკავშირს.უცხოური ენის კათედრის შეხვედრაზე მასწვლებლები ერთობლივად შეიმუშავებენ საგნობივ კურიკულუმებს. მასწავლებლებელთა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები სხდომებზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებებს ,საუბრობენ მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ , კურიკულუმის შემუშავება დაფუძნებულია ასევე მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მათ აქვთ არჩევანის უფლება . ტარდება მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მოსწავლეთა და მშობელთათვის., რომელიც მათი ჩართულობის დამადასტურებელია

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. შემუშავებული კურიკულუმის გაცნობა ხდება მშობელთა კრებებზე და მასწავლებელთა პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებზე, ხორციელდება განხილვები და შემდეგ კათედრაზე სამუშაო შეხვედრის ფორმატში განიხილება და გადაიხედება კურიკულუმში არსებული კომპლექსური დავალებები, ხდება მოდიფიცირება საჭიროებების მიხედვით. კურიკულუმის გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოებაში ძირითადად მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაშიც აისახება მიმღებლობითი გარემო. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. იგეგმება, რომ მშობლებს გაუზიარონ ელექტრონული ფორმით და ასევე მიაწოდონ კითხვარი, რომლის საშუალებითაც მათ აზრს გაიგებენ, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი და გაზიარებული სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. სასკოლო საზოგადოების წევრების მხრიდან მიკუთვნებულობის განცდის გასაზრდელად სკოლამ გადაწყვიტა, სასკოლო კურიკულუმი აეტვირთა Onedrive-ის ღრუბლოვან სივრცეში, სადაც საჭიროებისამებრ შეიტანენ ცვლილებებს და გაეცნობიან დაინტერესებული პირები. მასწავლებლებს მშობლებთან აქვთ კომუნიკაცია და მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კურიკულუმის განვითარებაში. მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება პირდაპირი კომუნიკაციის გზითაც: საკლასო ოთახებში და შეხვედრის ორგანიზებით, გარდა ამისა, მათ ეგზავნებათ კომპლექსური დავალების ბარათები.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმები
- კომპლექსური დავალების ბარათები
- კვლევა „კურიკულუმი და მშობელი“
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030 წწ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტი ითვალისწინებს საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ სავალდებულო თემატურ ბლოკებსა და ტექსტებს; წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის რამდენიმე დავალების იდეა, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლეზე ორინეტირებულობასა და ზოგადად, კონსტრუქტივისტული მიდგომების დანერგვას სასწავლო პროცესში. მაგალითად, მე-9 კლასში ქართული პოეზიის ანთოლოგიის შედგენა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებს უჭირთ საგნობრივი სტანდარტის ტერმინოლოგიით საუბარი, აქვთ მკაფიო ხედვა, როგორ გააქტიურონ საფეხურის სამიზნე ცნებები საეტაპო აქტივობებისა თუ თემის შემაჯამებელი დავალებების საშუალებით. თემატური დაგეგმვისა და არასავალდებულო ტექსტების შერჩევისას გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის მოსწავლეების ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები (მაგალითად, ტექსტები შეეხება ოჯახურ ურთიერთობებს, მშობლიურ კულტურას, საზოგადოებაში თანაცხოვრებას...ისეთ კონტექსტებს, რომლებიც ამ ასაკის მოსწავლისთვის აქტუალური და ნაცნობია).

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. გრძელვადიანი მიზნების, ე.წ გლობალური ფუნქციური უნარებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტმაგალითები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა იმსჯელეს, თემის-დანაშაული და პასუხისმგებლობა-შესწავლისას ტექსტის გაგება-გააზრებასთან ერთად, როგორ იმუშავებენ, მაგალითად, ფუნქციურ-კომპონენტურ უნარზე-მოქალაქეობა. შენიშნეს, რომ ლიტერატურის გაკვეთილებზე ყოველთვის აქტიურდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება საეტაპო აქტივობებსა თუ საბოლოო დავალებებში. კომპლექსური ბუნების დავალებების დაგეგმვით კი(წარმოდგენილია კურიკულუმში რამდენიმე ნიმუში) თავისთავად უბიძგებენ მოსწავლეებს თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარების განვითარებისკენ. საგანთა ინტეგრირება (მაგალითად, ქართული ლიტერატურა და ხელოვნება), რისი გამოცდილებაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე ზეპირი რეფლექსიით, ხაზს უსვამს, რომ ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე ზრუნვა კათედრისთვის მნიშვნელოვანია.

მაგალითად, გეოგრაფიაში მოსწავლეები ერთმანეთს შეადარებენ გრან ჩაკოს და ელდარის დაბლობს, არალის ზღვას ჩადის ტბას, ისტორიაში 1832 წლის შეთქმულებასა და 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციას, გიორგი V-ისა და ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას. შემოქმედებითობა - რადგანაც მოსწავლეები არალის ზღვაზე მინი-პროექტზე მუშაობისას დაასახელებენ პრობლემის გადასაჭრელ გზებს; კომუნიკაცია - რადგანაც მოსწავლეები გამოიყენებენ მეტყველების სხვადასხვა ტიპს (თხრობა, აღწერა, მსჯელობა) პრეზენტაციის პროცესში; თანამშრომლობა - რადგანაც მოსწავლეებს ითანამშრომლობენ ერთმანეთთან კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნისას; მოქალაქეობა - რადგანაც ისინი იმსჯელებენ ქვეყნისთვის აქტუალურ პრობლემებზე: მაგალითად, გეოგრაფიაში შექმნიან მინი-პროექტს მთის მოსახლეობის პრობლემებზე; ნებელობა - რადგანაც კომპლექსური დავალებები მოითხოვს მასზე მუშაობის პროცესის დაგეგმვას; გარდა ამისა, სკოლაში ხორციელდება პროექტები, მუშაობს კლუბები (სამოქალაქო განათლების კლუბი „ლორაქსი“), ტარდება სასკოლო ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებას.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის. სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე. მასწვალებელი მუშაობს მოსწავლეებთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელთაც აქვთ სხვადასხვა უნარები, ცოდნა და შესაძლებლობები. ასევე აქვთ გამოცდილება ინდივიდიალური სასწავლო გეგმის შექმნისა. საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. მაგალითად, რესურსის, პრეზენტაციის წარდგენის არჩევითობა, გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შეთავაზებებს, კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და სხვა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში და ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, კონფერენცია, პრეზენტაცია.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-24 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის პროექტში ასახულია მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც აღწერილი შეფასების მიზნები, სახეები, ძირითადი ამოცანები. დოკუმენტი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. სკოლამ ინდიკატორის მტკიცებულებად აგრეთვე წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნული რუბრიკები შედგენილია როგორც ცალკეული თემებისთვის, აგრეთვე კონკრეტული კომპლექსური დავალებისთვის. თემებისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ისეა შედგენილი, რომ მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებს და სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებულია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების ფლობა. კათედრები აგრეთვე იყენებს სოლო-ტაქსონომიის რუბრიკებს, სადაც მოსწავლის ცოდნა აღიწერება შესაბამისი დონის ფლობით, აქ წარმოდგენილია კონკრეტული ნიმუშებიც. რესურსი 12-ის მიხედვით, კათედრა გეგმავს ჩაატაროს სადიაგნოსტიკო შეფასება და მიღებული მონაცემები გამოიყენოს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმში შესაბამისი ცვლილების განხორციელებისთვის.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ კათედრები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, რასაც იყენებენ მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შექმნის დროს. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით აკმაყოფილებს სტანდარტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომაზე განიხილება კომპლექსური დავალების ეტაპები, ხდება მათი ანალიზი და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმების შედგენა. კურიკულუმის შედგენისას არსებული საჭიროებების დასადგენად სკოლა ახორციელებს მიმდინარე კვლევას „განმავითარებელი შეფასება სწავლა სწავლების პროცესში", რომლის მიზანია განმავითარებელი შეფასების ეფექტურობა სასწავლო პროცესში დამშობელთა ჩართულობის გზით მოსწავლეთა მოტივაციისა და აკადემიური შედეგების გაუმჯობესება. სკოლაში მიმდინარეობდა და უკვე დასრულებულია კვლევა სახელწოდებით „კურიკულუმი და მშობელი", რომელიც მიზნად ისახავდა იმის დადგენას, რამდენად იცნობდნენ მშობლები კომპლექსურ დავალებებს და ჰქონდათ თუ არა სურვილი, ჩართულიყვნენ თუ არა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში. მშობელთა გარკვეულმა ნაწილმა გამოთქვა სურვილი, ჩართულიყვნენ საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების შესაბამისი კურიკულუმების შემუშავებაში.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმები
- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საქმიანობის ანალიზი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის განხილვისას, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ მოსწავლეებს ეძლევათ აქტიური ჩართულობის შესაძლებლობა სასწავლო პროცესში. ეს მიზნობრივად არის გაწერილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებით შემუშავებულ კურიკულუმში. ამ მიზნით შემოთავაზებულია და ხორციელდება კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა განხორციელების პროცესი მოიაზრებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების და ძალების მობილიზებას. ამ მიმართულებით სკოლაში აგრეთვე უდიდესი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას. სოციალური თუ სხვადასხვა პროექტების დაგეგმვას და განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას.მაგალითად სასკოლო პროექტი ,,უკეთესი განათლებისთვის " ასევე პროექტი ,,რა გამძი გვქონია სადაც ინგლისური ენის კათედრა ჩაერთოთემით ,,ტრადიციული ქართული სამოსი" პედაგოგები გამოხატავენ მზაობას ეს პროცესი უფრო აქტიურად წარიმართოს მომავალშიც. მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერესების გათვალისწინების და ხელშეწყობის მიზნით, ფიზიკური აღზრდის საგანში კოლეგები ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოსავლენად გაღვივებას. სკოლას აქვს პროექტებით სწავლების დიდი გამოცდილება, სისტემატიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ტიპის ოლიმპიადებში, ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში, ინტელექტულურ თამაშებში, სხვადასხვა საგნობრივ კონფერენციებში რას მათ ეხმარებათ მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში მონაწილეობა დაადასტურონ.სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს საზოგადოებრივი მეცნიერებების შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც იძლევა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას. მასწავლებლებს კურიკულუმებში გაწერილი აქვთ თემები, სამიზნე ცნებები და კლასტერები და კომპლექსური დავალების იდეები.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ვინაიდან საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია თემატურად, ხოლო თემატური დაგეგმვა წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. საგნის თითოეულ კლასში გაწერილია მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება, რომლის პირობის ფორმულირებაში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტექსტის შემოტანა. სასკოლო პროექტები და მოსწავლეთათვის შეთავაზებული საინტერესო არაფორმალური განათლების აქტივობებიც ასევე ეხმარება სასწავლო პროცესს ამ მიმართულებით.

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები, მასში საკითხები დაყოფილია თემების მიხედვით, თემები მოიცავს საკითხთა კლასტერებს. აღნიშნულ კლასტერებში შემავალი საკითხები ეფუძნება წინარე ცოდნას და გამოცდილებას. მაგალითად, ისტორიის კურიკულუმის ჩარჩოში კლასტერები ისეა გაწერილი, რომ ახალი მასალის დამუშავება მოითხოვს მის სხვა კლასტერებში დამუშავებულ ინფორმაციასთან დაკავშირებასა და გამთლიანებას. აღნიშნულ საგნის მე-9 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია თემა „ახალი დრო“, რომელიც იყოფა შემდეგ კლასტერებად: საქართველო და დიდი იმპერიები XVII-XVIII საუკუნეებში, ხანგრძლივი XIX საუკუნე-რევოლუციების ხანა ევროპასა და საქართველოში და ა.შ. ისტორიაში წინარე ცოდნის გააქტიურებას ხელს აგრეთვე უწყობს მაგალითები შედარებისთვის. მაგალითად, მოსწავლეებს გიორგი V-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესწავლამდე შეუძლიათ გაიხსენონ დავით აღმაშენებლის პოლიტიკა და ამ ორი მეფის საქმიანობა მოგვიანებით ერთმანეთს შეადარონ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიფმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარები ხელს უწყობს მეტაკოგნიციას. დავალებაზე მუშაობის პროცესი იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებისა და ცნობისმოყვარეობის წახალისების შესაძლებლობას. მეტაკოგნიციის განვითარებას ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ დავალებების პრეზენტაცია, რომლის დროსაც მოსწავლე ადარებს მის დავალებას წინასწარ დასახულ კრიტერიუმებთან..როგორც მასწავლებელმა გასაუბრების დროს აღნიშნა,. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეები ჩართული არიან სახალისო და საინტერესო აქტივობებში (მაგალითად ფესტივალები სპორტის სხვადასვა სახეობებში, კონფერენციები სხვადასხა თემებზე, ლასქრობა)), რომლებიც მათ არსებული ფიზიკური თვისებების განვითარების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის გამოვლინებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს და ეხმარება ნასწავლის შემეცნებაში, გაანალიზებასა და შეფასებაში. სკოლისაგან ჩანს მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგრძელებისა. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. სწავლა-სწავლების პროცესში შექმნილია ისეთი გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა განსხვავებული ხედვების წარმოჩენას, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. დავალების წარდგენის დროს წახალისებულია შესრულებულ სამუშაოზე მოსწავლეების რეფლექსია.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმები. აღნიშნული კურიკულუმების ჩარჩოში საკითხები დაყოფილია კლასტერებად და მითითებულია კომპლექსური დავალებების იდეები. ისინი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. მაგალითად, ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოდგენილია მერვე კლასში განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეა - „მემუარული ნაშრომის შექმნა გიორგი V მოღვაწეობის შესახებ“, რომელზე მუშაობა მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის შესაბამის შეკითხვებზე მუშაობას. მაგალითად, მოსწავლეები პასუხს გასცემენ შეკითხვას, თუ ვინ იყო გიორგი ბრწყინვალე, როგორ შეაფასებდნენ მის მოღვაწეობას რესურსებზე დაყრდნობით და როგორ ასახავდნენ მემუარებში გიორგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბრწყინვალის საშინაო და საგარეო პოლიტიკასსაბაზო საფეხურის სამივე კლასში კურიკულუმში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში.მაგალითად, მე-9 კლასის კომპლექსურ დავალებაზე „მაქსიმალური ტევადობის ყუთის დამზადება“ მუშაობისას მოსწავლეები შეისწავლიან თემას: ალგებრული გამოსახულება, საკითხებს: კვადრატულისამწევრი, კვადრატული სამწევრის მამრავლებად დაშლა, კვადრატული სამწევრის სრული კვადრატის გამოყოფა, ალგებრული წილადები და მოქმედებები მასზე. მიღებული ცოდნით მოსწავლეები შეძლებენ გამოვიკვლიოთ, როგორ არის შესაძლებელი მართკუთხედის ფორმის ფირფიტისაგან, მაქსიმალური ტევადობის ყუთის ფორმის საცავის დამზადება.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია; ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდიქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ინდიკატორი შესაბამისობასია.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი მეტწილად უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამას ადასტურებს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებების ქვეცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენებისკენ არის თემები ,რომელთა ფარგლებში ჯერ არ არის წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები, თუმცა ამ შემთხვევაშიც თემიდან გამომდინარე ყველა ქვეთავზე მუშაობის პროცესები წარიმართება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით,რაც ასევე მითითებულია კურიკულუმში .წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ

მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებში, რაც ხელს უწყობს არაფორმალური გარემოში მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილია სხვადასხვა აქტივობები, სკოლაში მუშაობს სამწარმეო, სამოქალაქო განათლების კლუბი, საბაზო საფეხუხზე მუშაობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კლუბის, ბიოლოგიის კლუბი რომლების მრავალფეროვანი და სკოლისათვის სასარგებლო აქტივობების გახორციელებით გამოირჩევიან. გარდა აიას, კატედრას აქვს სხვადასხვა პროფესიის მაგალითად ექიმი მშობბის მოწვევა და საინტერესო ლექცია-სემინარების ჩატარება ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაიის თემაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოები, რომელშიც მითითებულია კომპლექსური დავალების იდეები. მაგალითად, მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია კომპლექსური დავალების იდეები: „ანგარიშის შექმნა მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების შესახებ“, „ბუკლეტის შექმნა თემის კულტურული მრავალფეროვნების წარმოსაჩენად“ და სხვ. აღნიშნული კომპლექსური დავალებები მოსწავლეში ავითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას და აძლევს თემის და სკოლის ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების მოტივაციას. აღნიშნული კომპლექსური დავალებების განხორციელების შემთხვევაში მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით და მასზე ახალი ცოდნის დაშენებით შეძლებენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. კომპლექსური დავალების პრეზენტაციის შედეგად მათ აგრეთვე განუვითარდებათ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. სკოლაში ტარდება უამრავი პროექტი. მაგალითად, სასკოლო პროექტი „რა განძი გვქონია“. ამ პროექტის შემადგენელი იყო მათემატიკის კათედრის მიერ ჩატარებული პროექტი „ოქროს კვეთა“. მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისთვის არაფორმალური აქტივობების მნიშვნელობაზე.

ამ და მსგავს პროექტებზე მუშაობისას ხელი ეწყობა მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებას იმდენად, რამდენადაც მათ უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ სკოლის სხვა მოსწავლეებთან. ფსიქო-ემოციური განვითარება ასევე მოიცავს თვით მართვის უნარსაც, რომელიც მოიაზრებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. მოსწავლეებში აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას ხელი ეწყობა როგორც პროექტებზე ასევე კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც მოსწავლე საუბრობს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითარებელი შეფასებით მათ საშუალება აქვთ იცოდნენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. წარმოდგენილი კურიკულუმები სასწავლო პროცესზე ორიენტირებულია და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, კათედრაზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეების საჭიროებებს და მიზნებს. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები მოსწავლეებს აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. მასწავლებლები აგრეთვე უხსნიან მოსწავლეებს, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს გადაწყვეტილი. ეს ხელს უწყობს შეფასების ვალიდურობას და სანდოობას. მასწავლებლები ქმნიან შეფასების რუბრიკებსაც და გათავისებული აქვთ მათი მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მიემართება საგნის შესაბამის სამიზნე ცნებებს, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში კი ასახულია, თუ რა მოლოდინები უნდა გვქონდეს მოსწავლისგან სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად. მასწავლებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რადგანაც მას არასწორი უკუკავშირის ალბათობა მინიმუმადე დაჰყავს. შესაბამისად, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სოლო ტაქსონომიას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლას **ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის ვერიფიკაციის წესი და დამტკიცების ბრძანება.**

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. ინდიკატორი 2.2.2.5 სრულ შესაბამისობაშია.

6. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს, რომ საბაზო საფეხურის ტესტების, წლიური საგამოცდო დავალებების, შემაჯამებელი დავალებებისა და კომპლექსური დავალებების შესახებ ყველა ინფორმაცია. ასევე ინახება მოსწავლეთა ნაშრომები 1 წლის ვადით. გარდა ამისა, ინახება მოსწავლეების ნაშრომები 1 წლის ვადით. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლებში აპირებს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწეროს მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების პორტფოლიოების, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ვადები, რომელიც განისაზღვრება რეკომენდებული 3 წლით.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში ღია, მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს ქმნის პირველ რიგში სასკოლო სასწავლო გეგმა, მისი შემადგენელი ნაწილებით. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის საათობრივი ბადე ისეა შემუშავებული, რომ მორგებულია მოსწვალის ინტერსებზე, მის განვითარებაზე და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. მასწავლებლები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე. სასწავლო პროცესს წარმართავენ ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებულად. სასკოლო ცხოვრების ნებისმიერი პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით და რეფლექსიით, რაც ქმნის სკოლაში ღია მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. საბაზო საფეხურზე დიფერენცირებული მიდგომები, მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება, ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს.

ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სკოლის შინაგანაწესის დოკუმენტი, რომლის მე-10 და მე-11 მუხლებში გაწერილია დასაქმებულის და მოსწავლის წახალისების სახეები და გამოყენების წესი, რომელშიც მოიაზრება მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა და სხვა. გარდა ამისა, მხარდამჭერი და მიმღებლობითი ხელს უწყობს გარემოს შექმნას ხელს უწყობს სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას აგრეთვე წარმოდგენილი აქვს დაგეგმილი ღონისძიებები და აქტივობების სია, მათ შორისაა სასწავლო პროექტები „ბავშვები ძალადობის წინააღმდეგ“ და „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“, ჩამონათვალში აგრეთვე შედის სასკოლო კონფერენცია, ექსკურსია, გამოფენა და სხვ. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში იკითხება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები, უნარები, ინტერესები, საჭიროებები და სწავლის სტილი. უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, ოლიმპიადებში, კონფერენციებში, პროექტებში და ა შ. , სადაც მოსწავლე არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. იგივე დამოკიდებულება დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგადაც, რაც ნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად;

პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ასაკის და შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია. სკოლაში ხშირად სწავლა-სწავლების პროცესები ხორციელდება კომპლექსური ტიპის დავალებების აგებით, რომლებიც საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში ჯერ კიდევ დასახვეწია, თუმცა ჩანს, რომ მოსწავლე თვითონ არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს არაცვეულებრივად მოწყობილი აბორატორია, სადაც მოსწავლეს ეძლეა შესაძლებლობა სხვადასხვა ტიპის კვლევების განახორციელოს, დაგეგმოს საინტრესესო ექსპერტიმენტები და სამივე საგნის ფიზიკის ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლების დახმარებით თავად გახდეს სწავლის პროცესის წარმმართველი. ლაორტორია აღწურვილია შესაბმისი ქიმიური რექტივებით რომელბის წესების დავცით ინახება, იქვე განთავსებული ბიოლოგიის და ფიზიკის სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყები და თვასცაჩინოებები.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია

3. ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმი, რომელიც შექმნილია კათედრის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ კურიკულუმის შექმნისას აქტიურად თანამშრომლობდნენ მშობლებთან და კათედრის სხდომაზე ერთობლივად იმუშავეს მის შესაქმნელად. წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმის მიხედვით, მასწავლებლები ხშირად ესწრებოდნენ ერთმანეთს გაკვეთილზე და აფასებდნენ კოლეგების მიერ ჩატარებულ აქტივობებს და აანალიზებდნენ მათ. ამასთან ერთად, კათედრის წევრების ერთობლივი თანამშრომლობით განხორციელდა ბევრი არაფორმალური აქტივობა: ერთ-ერთი მათგანია ინტეგრირებული პროექტი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ სახელწოდებით „რა განძი გვქონია“. თანამშრომლობასა და კომუნიკაციას ხელს აგრეთვე უწყობს სკოლაში არსებული სამოქალაქო განათლების კლუბი „ლორაქსი“. კლუბი აპირებს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს მისი წევრების მონაწილეობით განახორციელოს პროექტი „სამყარო პლასტმასის გარეშე“. თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას აგრეთვე ხელს შეუწყობს 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობები. მაგალითად, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა, პროექტები - „ბულინგი“ და „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“, ექსკურსია სამხატვრო გალერეაში და ა.შ. ინდიკატორი შესაბამისობაშია

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს ყველა დონეზე. სკოლაში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად აქტიური შეხვედრები ტარდება მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან სადაც ყურადღება მახვილდება უთიერთმხარდაჭერასა და პატივისცემაზე. პოზიტიური საკლასო ატმოსფეროს შესაქმნელად მნიშვნელოვანია როგორც ფიზიკური გარემოს მოწყობა ასევე არაფორმალური ააქტივობები, რომლის გამოცდილებაც სკოლას ნამდვილად აქვს.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები, დირექცია) ჩართულები არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. ახალი კურიკულუმის შექმნისას ეყრდნობიან გასული სასწავლო წლის გამოცდილებას, მშობლების და მოსწავლეების უკუკავშირს. სკოლაში წახალისებულია ინიციატივები, ჩართულობა, კლუბების ჩამოყალიბება და სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას, სასკოლო პროექტებში მოსწავლეთა მონაწილეობა, რაც ზრდის სკოლისადმი მოსწავლეთა სკოლისადმი მიკუთვნებულობას, მათ სურვილი უჩნდებათ აკეთონ სკოლისათვის სასარგებლო საქმე.

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო კურიკულუმები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი
- პროექტი „კულტურული მემკვიდრეობა“

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, გამოკვეთს თუ რა მიზანს ემსახურება შეფასება, საჭირო მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებსა და გზებს, თუ როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მნიშვნელობა. იმართება კათედრის შეხვედრა, სადაც ჯერ იგეგმება სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული საკითხები, შემდეგ კი კეთდება მონიტორინგი კათედრის წევრების დაკვირვების შედეგების საფუძველზე, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები თავდაპირველი გეგმის შესაბამისად. კათედრაზევე ზეპირსიტყვიერად ხდება მოსწავლეთა შედეგების შეფასების ანალიზი და მომავალი საქმიანობა იგეგმება შედეგების გაუმჯობესებისკენ. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის მიერ შექმნილ პროდუქტს კურიკულუმში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. თუმცა სკოლა გეგმავს შეიმუშაოს მონიტორინგის ფორმები დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და სასწავლო პროცესის შემდგომში გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში ყოველწლიურად ტარდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვები. აღნიშნული გამოკითხვები ხელს შეუწყობს სკოლის საჭიროების გამოვლენას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის დირექტორის ანგარიში მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგების შესახებ, რომლის საფუძველზე გაანალიზდა სკოლის საჭიროებები. სკოლის საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარდა კიდევ ერთი კვლევა „კურიკულუმი და მშობელი“. აღნიშნული კვლევის დროს მშობელს დაუსვეს სხვადასხვა შეკითხვა, რომელიც შეეხებოდა კომპლექსური დავალებისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობას, ჰქონდათ თუ არა სურვილი, მონაწილეობა მიეღოთ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს რეკომენდაციების შემუშავებაში და ა.შ. სკოლას აქვს გამოცდილება კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით, თუმცა პირველადი ავტორიზაციის პირობებიდან გამომდინარე **2.3.1.1 ინდიკატორი ვერ ფასდება**

2. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით,ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა ,რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად ,რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება ხარისხის ჯგუფის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, მიცემულ უკუკავშირს, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. საბოლოოდ მიღებულ გამოცდილებას და უკუკავშირს მასწავლებლები ითვალისწინებენ და ეს ყველაფერი ხელს უწყობს სასწავლო კურიკულუმში ცვლილებების შეტანას.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- კვლევა „კურიკულუმი და მშობელი“

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. მასწავლებელბთან ჩატარებული ინტერვიუირებით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, არა მარტო პროცენტულად რამდენი მოსწავლე რა შედეგზე გავიდა განმსაზღვრელი შეფასების მხრივ, არამედ გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელი საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესესობამ.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის დაწესებულება თვლის, რომ .მოსწავლეთა შეფასება განხორციელდეს მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებს. მაგ, ყურადღება ექცევა რამდენად აქვს გადმოცემის უნარი, შესაძლებელია მოსწავლეს ზეპირსიტყვიერი გადმოცემის უნარი ნაკლებად ჰქონდეს და ამის გამო სრულყოფილად ვერ გადმოსცემდეს მის მიერ მიღებულ ცოდნას. გაითვალისწინება რამდენად სრულყოფილად აქვს გაგებული კონკრეტული თემა, აღნიშნულს მასწავლებელი ახორციელებს სხვადასხვა კითხვის დასმით, რომლითაც ადგენს რომ მოსწავლეს ამომწურავად აქვს გაგებული საკითხი. გაითვალისწინება თუ რამდენად დამოუკიდებლი მუშაობის შედეგად აქვს შესრულებული დავალება. გარდა ამისა, მოსწავლეებთან მუშაობის დროს ყურადღება ექცევა პოზიტიურ სასწავლო გარემოს, ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართულობას, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას შედგენილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლების გეგმა, რომელიც გაწერილია ის ღონისძიებები, რომელიც მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. გასაუბრებისა გამოიკვეთა, რომ სკოლა მონაცემთა შეგროვების პროცესს ანხორციელებს სკოლის მიზნისა და საჭიროების იდენტიფიცირებით. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: დაკვირვება, შეფასების რუბრიკები, ინტერვიუ, შევსებული თვითშეფასების კითხვარები,მშობელთა გამოკითხვის ფორმები, სხვადასხვა ტიპის კვლევების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანკეტები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. მონაცემთა შეგროვების მიზანს ემსახურება შემაჯამებელი თუ დიაგნოსტიკური წერები, ხოლო მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია შესაბამისი შეფასების რუბრიკები. კომპლექსური დავალება, რომელიც მოსწავლეს აძლევს თვითშეფასების შესაძლებლობას განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებულია ერთ-ერთ მეთოდად ხოლო ზემოდ აღნიშნული მეთოდები გამოიყენება დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზისათვის.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასებისას ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკსა და ინდივიდუალურ თავისებურებებს, საგნობრივ სტანდარტს, ახალი ცოდნის წინაპირობის შექმნას, რემედიაციის, დიფერენცირებული მიდგომის პრინციპებს. ამასთან ერთად, გაკვეთილზე იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. გარდა ამისა, მასწავლებლები აკვირდებიან კოგნიტურ უნარებს, როგორებიცაა: აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, მეტყველება, ქცევა, ემოცია და კომუნიკაცია, აგრეთვე ყურადღებას აქცევენ იმ გარემოს, რომელშიც ის ცხოვრობს.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმები
- დირექტორის ანგარიში სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შესახებ
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი
- კათედრის სხდომის ოქმი
- კვლევა „კურიკულუმი და მშობელი“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.1.3 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა და სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაშიცაა ასახული, რომ სკოლას აქვს გარკვეული ხედვა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ, სადაც მითითებული იქნება, თუ როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის რევიზია. რომ სკოლში, სამომავლოდ იგეგმება დააკვირვება მოახდინონ კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, შეისწავლონ გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეები და შეაგროვონ დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის, საგნობრივი კათედრები შეაჯერებენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებას, მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებული შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) და ამაზე დაყრდნობით, სკოლა მზადაა შეიმუშაონ „ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი“. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და საჭიროებს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და მათზე რეფლექსიას

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე. კურიკულუმის შემუშავება და მისი სრულყოფა არის ციკლური პროცესი. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მუშაობა მიმდინარეობდეს მუდმივ რეჟიმში. გადამუშავებული კურეკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები გაითვალისწინებენ როგორც თავად მათ მიერ კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულ გამოცდილებას, ისე სხვა მასწავლებელთა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. აღნიშნულის საფუძელზე შეიქმნება გადამუშოავებული კურიკულუმი, რომლებიც გამოიყენება მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს კათედრაზე განიხილავენ, აჯერებენ წინა წლების გამოცდილებას, აანალიზებენ რა კავშირი და განსხვავებებია ფურცელზე დაწერილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- დირექტორის ანგარიში სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შესახებ;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი;
- კვლევა „კურიკულუმი და მშობელი“.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით სკოლას აღწერილი აქვს, რომ კათედრის წევრების ერთმანეთთან თანამშრომლობით, გამოცდილების გაზიარებით, კათედრის მუშაობის ანალიზით, მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარების შევსებითა და მიღწევებზე დაყრდნობით შეიმუშავებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულიმებს. საერთო მსჯელობის შემდეგ საგნისა და შესაბამისად, პარალელური კლასის მასწავლებლები იკრიბებიან და განიხილავენ თემებს, გამოყოფენ საკითხებს და აკავშირებენ ცნებებს საკითხებსა თუ ქვესაკითხებს, ჯერდებიან კომპლექსური დავალების პირობასა და განხორციელების ეტაპებზე. ითვალისწინებენ მშობელთა, მოსწავლეთა და დირექციის მხრიდან გამოკვეთილ ინტერესებს, მაგალითად: მშობელთა ჩართულობა უშუალოდ სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა სურვილები კონკრეტული პროდუქტი სხვადასხვა საშუალებითა თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახით წარმოგვიდგინონ და შეაქვთ ცვლილება კურიკულიმებში, რათა გაითვალისწინონს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და სასწავლო პროცესი გახდეს მრავალფეროვანი. ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა კათედრის წევრთა ერთსულოვნება, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და სიახლეებზე ორიენტირი. ინდიკატორი შესაბამისბაშია.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს სასკოლო კულტურა გამოიკვლიოს სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეების და მშობლების ინტერესები, აცნობენ კომპლექსური დავალების ბარათებს, მშობლები ერთვებიან სასწავლო პროცესში და მონაწილეობენ. გამოთქვამენ მზაობას, რომ სამომავლოდ სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოკვლევასა და გათვალისწინებას კურიკულუმების შედგენის პროცესში მიეცეს სისტემატიური ხასიათი, შეიმუშაონ ინტერესთა დასადგენი კითხვარები და მათი ანალიზის საფუძველზე დაიგეგმოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმები. ვიზიტის პერიოდში საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა, რომ ყოველწლიურად შექმნიან ახალი კურიკულუმებს, რომლის ორიგინალურობაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგადაა აქ ასახული წინა წლის/წლების გამოცდილება და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. აღნიშნეს, რომ მშობელთა ჩართულობის სხვადასხვა შესაძლებლობებს გამოიყენებენ, მაგალითად, როგორც ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ან მშობელი როგორც ორგანიზატორი, ცოდნის გამზიარებელი, მასწავლებლები შეეცდებიან კომპლექსური დავალებების პირობა აღებული იყოს ცხოვრებისეული კონტექსტიდან, მისცენ მოსწავლეებს განმავითარებელი უკუკავშირი და ამით უზრუნველყონ მოსწავლეთა ინტერესიანი ჩართულობა კურიკულუმის კარგად დაგეგვმაში, რომელიც მიმდინარე სასწალო პროცესის წინაპირობაა. გამოხატეს მადლიერება სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის მიმართ, რომელიც ორიენტირებულია, რომ სკოლა განიხილებოდეს როგორც ერთიანი ორგანიზმი, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას და პიროვნული ზრდის მხარდაჭერას, ახალისებს მასწავლებელთა ინოვაციურ იდებსა და ასრულებს მამოტივირებელი ლიდერის როლს. კურიკულუმში ასახული და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, იქნება ეს სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები და სხვა. გარდა aმისა, იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. მართალია სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებში არ ჩანს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, თუმცა მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, მკაფიოდ ჩანს კათედრის საგნის მასწავლებელთა ჩართულობა იქნება ეს ტიპური სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები, კომპლექსური დავალებების აგებისა და ეფექტურად განხორციელების საშუალებები და სხვა. გარდა იმისა, სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის პროექტის მიმდინარე ვერსია არის გაზიარებული და შეთანხმებული, როგორც მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, ყველა მასწავლებელმა იმუშავა სასკოლო კურიკულუმის შექმნაზე, თუმცა მშობელთა ჩართულობა მხოლოდ კომპლექსური დავალების ბარათებით შემოიფარგლებოდა. ახალი სასწავლო წლისათვის კი იგეგმება უფრო აქტიური ჩართვა, კერძოდ სხვადასხვა კითხვარების საშუალებით მშობლებს გააცნობენ მთლიან კურიკულუმს და გაითვალისწინებენ მათ უკუკავშირს.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. შემუშავებული კურიკულუმის გაცნობა ხდება მშობელთა კრებებზე და მასწავლებელთა პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებზე, ხორციელდება განხილვები და შემდეგ კათედრაზე სამუშაო შეხვედრის ფორმატში განიხილება და გადაიხედება კურიკულუმში არსებული კომპლექსური დავალებები, ხდება მოდიფიცირება საჭიროებების მიხედვით. კურიკულუმის გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოებაში ძირითადად მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო საზოგადოების და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაშიც აისახება მიმღებლობითი გარემო. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. იგეგმება, რომ მშობლებს გაუზიარონ ელექტრონული ფორმით და ასევე მიაწოდონ კითხვარი, რომლის საშუალებითაც მათ აზრს გაიგებენ, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები გახადოს ხელმისაწვდომი და გაზიარებული სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. სასკოლო საზოგადოების წევრების მხრიდან მიკუთვნებულობის განცდის გასაზრდელად სკოლამ გადაწყვიტა, სასკოლო კურიკულუმი აეტვირთა Onedrive-ის ღრუბლოვან სივრცეში, სადაც საჭიროებისამებრ შეიტანენ ცვლილებებს და გაეცნობიან დაინტერესებული პირები.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმები
- კომპლექსური დავალების ბარათები
- კვლევა „კურიკულუმი და მშობელი“
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030 წწ.)

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები სრულად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმებში შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას მაგ უცხოურ ენებში კერძოდ ინგლისურში მე 10 კლასში შეთავაზებულია კომპლექსური დავალება ,,პლაკატი-პრეზენტაცია - მოგზაურობა მე-16 საუკუნის ინგლისში" სადაც მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს პრეზენტაცია პლაკატი მე 6 საუკუნის ინგლისის კულტურული ცხოვრების შესახებ.

სკოლის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, კურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალებები, რაც თავისთავად უბიძგებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კომპლექსური დავალებებით მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. კურიკულუმების ჩარჩოებში არ არის შევსებული ყველა ველი, ამ ეტაპზეც მიმდინარეობს მუშაობა კურიკულუმის სრულყოფაზე. მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. გარდა ამისა, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა გამოხატეს იმის მზაობაც, თუ როგორი აქტივობებით შეიძლება კომპლექსური დავალებების დამუშავება (მაგ. ასაკობრივი ზღვარის შესაბამისი სახალისო დისკუსიები, თამაშის ელემენტები და სხვ.), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს უწყვეტ ნაკადად წაიყვანს.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების და მაკროცნებების გააქტიურება იკვეთება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე.კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ხდება მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება.წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების(მაგ. "მარტივი და რთული პროცენტი- სამომხმარებლო მათემატიკა" მეათე კლასი, ,, მაჩვენებლიანი განტოლებების გამოყენება საყოფაცხოვრებო სიტუაციაში" მეთერთმეტე კლასი, „ საჰაერო ხიდების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აგება“მეთორმეტე კლასი) პირობებიდანჩანს, რომ შესაძლებელია დავალების შესრულების პროცესში ამ უნარების გააქტიურება. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე,იმ სტრატეგიებზე,რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ბოლოს აკეთებს რეფლექსია რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის. სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე. მასწვალებელი მუშაობს მოსწავლეებთან, რომელთაც აქვთ სხვადასხვა უნარები, ცოდნა და შესაძლებლობები. ასევე აქვთ გამოცდილება ინდივიდიალური სასწავლო გეგმის შექმნისა. საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპექსური დავალებების იდეაში გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა მიმართ. მაგალითად, რესურსის, პრეზენტაციის წარდგენის არჩევითობა, გამოიყენებენ შემოქმედებითი პროდუქტის შეთავაზებებს, კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და სხვა. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დიფერენცირებული მიდგომები უფრო მკაფიოდ აისახება უშუალოდ კომპლექსურ დავალებებში და ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, კონფერენცია, პრეზენტაცია.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-24 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის პროექტში ასახულია მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც აღწერილი შეფასების მიზნები, სახეები, ძირითადი ამოცანები. დოკუმენტი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. სკოლამ ინდიკატორის მტკიცებულებად აგრეთვე წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. კონკრეტული თემებისთვის და კომპლექსური დავალებებისთვის განმსაზღვრელი შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რუბრიკები ისეა შედგენილი, რომ მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებს და სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებულია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების ფლობა. კათედრა აგრეთვე იყენებს სოლო-ტაქსონომიის რუბრიკებს, სადაც მოსწავლის ცოდნა აღიწერება შესაბამისი დონის ფლობით, აქ წარმოდგენილია კონკრეტული ნიმუშებიც. რესურსი 12-ის მიხედვით, მაგალითად საბუნებისმეტყველო კათედრა გეგმავს ჩაატაროს სადიაგნოსტიკო შეფასება წელიწადში ერთხელ და მიღებული მონაცემები გამოიყენოს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმში შესაბამისი ცვლილების განხორციელებისთვის.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ კათედრები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, რასაც იყენებენ მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შექმნის დროს. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომაზე განიხილება კომპლექსური დავალების ეტაპები, ხდება მათი ანალიზი და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმების შედგენა.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმები
- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კომპლექსური დავალებები თავისთავად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ წინარე გამოცდილება ეხმარებათ მათ, მაქსიმალურად ჩართონ მოსწავლეები პროცესში, ამასვე გაითვალისწინებენ აქტივობებში. კათედრა მთავარ როლში აყენებს მოსწავლეებს, მის საჭიროებებსა და ინტერესებს, შესაძლებლობას აძლევს ჩართული იყოს სკოლაში მიმდინარე ნებისმიერ შემოქმედებით პროცესში. კათედრის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა იდეები, სასკოლო პროექტები, ღონისძიებები. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან

ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლბელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ვინაიდან საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია თემატურად, ხოლო თემატური დაგეგმვა წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ორივე საგნის თითოეულ კლასში გაწერილია მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება, რომლის პირობის ფორმულირებაში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტექსტის შემოტანა. სასკოლო პროექტები და მოსწავლეთათვის შეთავაზებული საინტერესო არაფორმალური განათლების აქტივობებიც ასევე ეხმარება სასწავლო პროცესს ამ მიმართულებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები, კერძოდ საკვანძო შეკითხვები, როგორც საფეხურის, ასვე თემის. ასეთი საკვანძო შეკითხვები ჩაშენებულია მათ მიერ წარმოდგენილ მატრიცებსა და კომპლექსური დავალების ბარათებში, ასახულია მათ მიერ წარმოდგენილ ანგარიშშიც. ინტერვიუს დროს ხაზი გაესვა, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, რაც დასტურდება მატრიცების ბოლოში ჩაშენებულ დამხმარე რუბრიკით, კითხვებით, რომელიც შედგენილია პოლიას მეთოდით. .სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეები ჩართული არიან სახალისო და საინტერესო აქტივობებში (მაგალითად ფესტივალები სპორტის სხვადასვა სახეობებში, კონფერენციები სხვადასხა თემებზე, ლაშქრობა), რომლებიც მათ არსებული ფიზიკური თვისებების განვითარების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის გამოვლინებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებას აძლევს და ეხმარება ნასწავლის შემეცნებაში, გაანალიზებასა და შეფასებაში. სკოლისაგან ჩანს მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგრძელებისა.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმები. აღნიშნული კურიკულუმების ჩარჩოში საკითხები დაყოფილია კლასტერებად და მითითებულია კომპლექსური დავალებების იდეები. ისინი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. მაგალითად, ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოდგენილია მერვე კლასში განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეა - „მემუარების დაწერა ქართლის სამეფოს შესახებ აზოსა და ფარნავაზის მმართველობის პერიოდის აღსაწერად“, მასზე მუშაობა მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის შესაბამის შეკითხვებზე მუშაობას. მაგალითად, მოსწავლეებს მოუწევთ პასუხი გასცენ შეკითხვას, თუ ვინ იყო ფარნავაზი, როგორ შეაფასებდნენ მის მოღვაწეობას რესურსებზე დაყრდნობით და როგორ ასახავდნენ მემუარებში ფარნავაზის მიერ გატარებულ რეფორმებს.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრინციპი საგნობრივ კურიკულუმში წარმოჩენილია იმ თვალსაზრისით, რომ თემის ფარგლებში შესწავლილ განსხვავებულ საგნობრივ საკითხებს მოსწავლე ერთმანეთთან აკავშირებს და საბოლოოდ ერთ შემოქმედებით პროდუქტში აერთიანებს. ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოყენებულია კომპლექსური დავალება. მაგალითად, მე-10 კლასში წარმოდგენილია ანალიტიკური ესე-ბედი ერთი პიროვნებისა (დ. გურამიშვილის ,,დავითიანის“ მიხედვით). პირობაზე დაყრდნობით, მოსწავლემ უნდა გაანალიზოს ტექსტში წარმოჩენილი ეპოქა, დააკავშიროს ავტორის ცხოვრებისეულ დეტალებთან, იმსჯელოს, როგორ აისახა ქვეყნის მდგომარეობა პიროვნების ცხოვრებაზე. გამოიყენოს ანალიტიკური ესეს სტრუქტურისა და ენობრივი თავისებურების ცოდნა. სწორედ ამ ცოდნათა დაკავშირებით უნდა შექმნას ახალი პროდუქტი. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ცდილობენ, ყოველი ახალი საკითხი დააკავშირებინონ უკვე შესწავლილ მასალასთან და დამოუკიდებლად მიიყვანონ დასკვნებამდე, რათა მოსწავლეებმა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებში, რაც ხელს უწყობს არაფორმალური გარემოში მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილია სხვადასხვა აქტივობები, სკოლაში მუშაობს სამწარმეო, სამოქალაქო განათლების კლუბი, საშუალო საფეხურზე მუშაობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კლუბის, ბიოლოგიისა და ფიზიკის კლუბი რომლებიც მრავალფეროვანი და სკოლისათვის სასარგებლო აქტივობების გახორციელებით გამოირჩევიან. გარდა ამისა, კატედრას აქვს სხვადასხვა პროფესიის მაგალითად ექიმი მშობლის მოწვევა და საინტერესო ლექია-სემინარების ჩატარება ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაიის თემაზე. ინდიკატორი შესაბამისობასია.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. წარმოდგენილი კურიკულუმები სასწავლო პროცესზე ორიენტირებულია და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, კათედრაზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით. შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ აკადემიური მიღწევების აღნიშვნას, არამედ მასწავლებლები სხვადასხვა წყაროებიდან იღებენ ინფორმაციას მოსწავლეების უნარ-ჩვევების შესახებ. მოსწავლეებს მათი ძლიერი მხარეების გამოსავლენად რთავენ მათ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებში: პროექტებში, საკლუბო მუშაობაში.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებეში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში რაც ზრდის სანდოობას, პარალელური კლასის მასწავლებლების აფასებენ მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნამუშევრებს. მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს რაც გამჭირვალობის დასტურია .სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლას **ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის ვერიფიკაციის წესი და დამტკიცების ბრძანება.**

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. ინდიკატორი 2.2.2.5 სრულ შესაბამისობაშია.

6. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს, რომ საშუალო საფეხურის ტესტების, წლიური საგამოცდო დავალებების, შემაჯამებელი დავალებებისა და კომპლექსური დავალებების შესახებ ყველა ინფორმაცია. ასევე ინახება მოსწავლეთა ნაშრომები 1 წლის ვადით. გარდა ამისა, ინახება მოსწავლეების ნაშრომები 1 წლის ვადით. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლებში აპირებს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწეროს მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების პორტფოლიოების, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ვადები, რომელიც განისაზღვრება რეკომენდებული 3 წლით.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში ღია, მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს ქმნის პირველ რიგში სასკოლო სასწავლო გეგმა, მისი შემადგენელი ნაწილებით. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის საათობრივი ბადე ისეა შემუშავებული, რომ მორგებულია მოსწვალის ინტერსებზე, მის განვითარებაზე და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. მასწავლებლები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე. სასწავლო პროცესს წარმართავენ ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებულად. სასკოლო ცხოვრების ნებისმიერი პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით და რეფლექსიით, რაც ქმნის სკოლაში ღია მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. საშუალო საფეხურზე დიფერენცირებული მიდგომები, მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება, ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში იკითხება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები, უნარები, ინტერესები, საჭიროებები და სწავლის სტილი. უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, ოლიმპიადებში, კონფერენციებში, პროექტებში და ა შ. , სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. იგივე დამოკიდებულება დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგადაც, რაც ნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად;აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს არაცვეულებრივად მოწყბილი ლაბორატორია, სადაც მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა სხვადასხვა ტიპის კვლევების განახორციელოს, დაგეგმოს საინტრესესო ექსპერტიმენტები და სამივე საგნის ფიზიკის ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლების დახმარებით თავად გახდეს სწავლის პროცესის წარმმართველი. ლაორტორია აღწურვილია შესაბმისი ქიმიური რექტივებით რომელბის წესების დავცით ინახება, იქვე განთავსებული ბიოლოგიის და ფიზიკის სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყები და თვასცაჩინოებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია

3. ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმი, რომელიც შექმნილია კათედრის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ კურიკულუმის შექმნისას აქტიურად თანამშრომლობდნენ მშობლებთან და კათედრის სხდომაზე ერთობლივად იმუშავეს მის შესაქმნელად. წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმის მიხედვით, მასწავლებლები ხშირად ესწრებოდნენ ერთმანეთს გაკვეთილზე და აფასებდნენ კოლეგების მიერ ჩატარებულ აქტივობებს და აანალიზებდნენ მათ. ამის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სამუშაო შეხვედრის ოქმი N4, სადაც კათედრის ერთ-ერთმა წევრმა კოლეგების წინაშე წარადგინა განხორციელებული კომპლექსური დავალების ანგარიში და მიიღო სათანადო უკუკავშირი კომპლექსური დავალების შესრულების ინსტრუქციაზე. ამასთან ერთად, კათედრის წევრების ერთობლივი თანამშრომლობით განხორციელდა ბევრი არაფორმალური აქტივობა: ერთ-ერთი მათგანია ინტეგრირებული პროექტი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ სახელწოდებით „რა განძი გვქონია“. მოსწავლეებთან თანამშრომლობასა და კომუნიკაციას ხელს აგრეთვე უწყობს სკოლაში არსებული სამოქალაქო განათლების კლუბი „ლორაქსი“. კლუბი აპირებს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს მისი წევრების მონაწილეობით განაგრძოს მუშაობა პროექტზე „სამყარო პლასტმასის გარეშე“.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, რწმენების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გაზიარებული სისტემა, ნდობაზე, ერთმანეთის პატივისცემაზე დაფუძნებული, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო ქმნის ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც მისაღები და გაზიარებულია მათვის, მხარდაჭერილი და წახალისებულია მოსწავლე დამასწავლებელი, ასეთი მიდგომები აყალიბებს ნორმებს და წესებს, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატის შექმნას, სკოლის ასევე კლასის დონეზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო კურიკულუმები
- პროექტი „კულტურული მემკვიდრეობა“
- ინტეგრირებული პროექტი „რა განძი გვქონია“
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სამუშაო შეხვედრის ოქმი N4

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ სკოლაში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელშიც, ხარისხის უზრუნველსაყოფად, გამოკვეთილია ძირითადი ეტაპები: ა) დაგეგმვა; ბ) შემოწმების განხორციელება, რომლის დროსაც სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მოწმდება კურიკულუმები, სწავლის/სწავლების პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმდინარეობა და ხარისხი, რაც თავის მხრივ, მოიაზრებს, თუ რამდენად ადეკვატურადაა შერჩეული სწავლების მეთოდები და ფორმატი; თანხვედრაშია სწავლის მიზნები, კურიკულუმების შინაარსი და მისაღწევი შედეგები. აგრეთვე შესაბამისობაშია თუ არა კურიკულუმების შინაარსი და მითითებული რესურსები, შესაძლებელია თუ არა სასწავლო პროგრამის შესწავლის შედეგად შესაბამისი კომპეტენციების მიღწევა მითითებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით. დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში აგრეთვე უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი ხდება შემდეგი გზით: გაკვეთილებზე დაკვირვება, კლასზე დაკვირვება, დიაგნოსტიკური წერები კლასების მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების ჩატარების გრაფიკის მონიტორინგი და ა.შ. გ) შემოწმება/ანალიზი, რომლის დროსაც მოწმდება სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კურიკულუმის არსებობა; დ) რეაგირება/განვითარება, რომლის დროსაც სკოლა შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ დოკუმენტში აგრეთვე ნათქვამია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და სასწავლო პროცესის შემდგომში გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში ყოველწლიურად ტარდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვები. აღნიშნული გამოკითხვები ხელს შეუწყობს სკოლის საჭიროების გამოვლენას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის დირექტორის ანგარიში მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგების შესახებ, რომლის საფუძველზე გაანალიზდა სკოლის საჭიროებები. სკოლის საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარდა კიდევ ერთი კვლევა „კურიკულუმი და მშობელი“. აღნიშნული კვლევის დროს მშობელს დაუსვეს სხვადასხვა შეკითხვა, რომელიც შეეხებოდა კომპლექსური დავალებისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობას, ჰქონდათ თუ არა სურვილი, მონაწილეობა მიეღოთ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს რეკომენდაციების შემუშავებაში და ა.შ. სკოლას აქვს გამოცდილება კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით, თუმცა პირველადი ავტორიზაციის პირობებიდან გამომდინარე **2.3.1.1 ინდიკატორი ვერ ფასდება**

2. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში და მეთოდოლოგიაში გაწერილი კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებიდან გამომდინარე, კათედრის თითოეული წევრი კათედრის თავმჯდომარეს აბარებს შუალედური თუ საბოლოო შეფასების შედეგების ანალიზს, შესაბამისად კათედრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სკოლის ადმინისტრაციასთან და აქტიურად მუშაობს ეფექტიანი ანგარიშვალდებულების სისტემა, თუ რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, სრულდება თუ არა დაგეგმილი პროცესები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მივყავართ თუ არა სასწავლო პროცესს საგანმანათლებლო შედეგამდე. ამდენად სკოლა გამოხატავს მზაობას, იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგი და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომავალში უფრო ეფექტურად გამოხატავს და ასახავს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ასევე, მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება ხდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარადჭერის ჯგუფის წევრების მიერ.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3. მეთოდოლოგიაში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ჩანს, რომ მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის პროცესში ახდენენ ძლიერი და სუსტი მხარეების, ხელისშემშლელი ფაქტორებისა და არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირებას კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის და შემდეგ ცვლილებებს ასახავენ სასკოლო სასწავლო გეგმაში. აქედან გამომდინარე მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას. მონიტორინგის და შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია აისახება სამოქმედო გეგმაში, სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული პირების მიერ დაისახება პრობლემის მოგვარების გზები. მომდევმო წლიდან იგეგმება ურთიერთდასწრებები, მიღებული ინფორმაციის გაანალიზება პროფესიულ განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- კვლევა „კურიკულუმი და მშობელი“

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ანგარიში სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შესახებ და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი. აღნიშნული დოკუმენტების ანალიზისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არამხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებას, საგაკვეთილო შეფასებას, მშობლებთან კომუნიკაციას, გაკვეთილზე ჩართულობას და ა.შ. მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად ტარდება გამოკითხვები, რომლის შედეგების გაანალიზების შემდეგ, მასზე დაყრდნობით, მასწავლებლები ქმნიან სასკოლო კურიკულუმებს, შეფასების რუბრიკებსა და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის კათედრა თვლის, რომ .მოსწავლეთა შეფასება განხორციელდეს მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებს. მაგ, ყურადღება ექცევა რამდენად აქვს გადმოცემის უნარი, შესაძლებელია მოსწავლეს ზეპირსიტყვიერი გადმოცემის უნარი ნაკლებად ჰქონდეს და ამის გამო სრულყოფილად ვერ გადმოსცემდეს მის მიერ მიღებულ ცოდნას. გაითვალისწინება რამდენად სრულყოფილად აქვს გაგებული კონკრეტული თემა, აღნიშნულს მასწავლებელი ახორციელებს სხვადასხვა კითხვის დასმით, რომლითაც ადგენს რომ მოსწავლეს ამომწურავად აქვს გაგებული საკითხი. გაითვალისწინება თუ რამდენად დამოუკიდებლი მუშაობის შედეგად აქვს შესრულებული დავალება.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმები, დირექტორის ანგარიში სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შესახებ, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი, სადამრიგებლო პროგრამა, კვლევები, რომელთა დამუშავების და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოირკვა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესს არაერთი მიმართულებით სწავლობენ: მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით, ურთიერთდაკვირვებით, თვითშეფასებით, ურთიერთშეფასებით, ადმინისტრაციის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით, გამოკითხვებით, ონლაინგამოკითხვებით, მოსწავლის პორტფოლიოთი და სხვ. დაკვირვება მიმდინარეობს მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა და ადმინისტრაციის თვალთახედვით. ამასთან ერთად, სკოლაში იგეგმება სხვადასხვა სასწავლო აქტივობები (პრეზენტაციები, სასკოლო ღონისძიებები, საკლუბო მუშაობა, პროექტული სწავლება), რაც მოიაზრებს მრავალფეროვან მონაცემთა შეგროვების მეთოდებს.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, რომლისათვისაც კათედრა იყენებს მულტიფაქტორულ მიდგომას. გასათვალისწინებელია ინდივიდზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები: მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მშობლებისა და მასწავლებლების დამოკიდებულებები და სოციალური გარემო სადაც იგი იზრდება და ვითარდება. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტიდან გამომდინარე შეფასებისას მასწავლებლები უნდა ეყრდნობოდნენ მრავალ ფაქტორებს და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მოსწავლეთა შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორებს იყენებენ: ახდენენ მოსწავლეთა დიფერენცირებული პროფილის შექმნას; იკვლევენ მოსწავლეთა სხვადასხვა უნარებს; ეძიებენ უნარების განვითარებაზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენას.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სკოლის დირექტორის ანგარიში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი
- კვლევა „კურიკულუმი და მშობელი“

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; მასწავლებლები გასაუბრებისას გამოყოფენ მნიშვნელოვან ასპექტს იმასთან დაკავშირებით, რომ კათედრის წევრები ამზადებენ ე.წ. დოკუმენტების კრებულს სიტყვიერს თუ სარეკომენდაციოდ გაწერილი მასალების ნაერთს, რომლებიც შეიცავს: რა მიგნებები აქვთ სამუშაო გამოცდილებიდან კარგი, რას დასჭირდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადამუშავება, რატომ არ გაამართლა ფურცელზე დაწერილმა, რამ გაამართლა და რატომ, როგორ გამოვკვეთე პრობლემა და როგორია გადაჭრის გზები და საშუალებები, ამ შედეგებს აჯერებენ და წარუდგენენ ადმინისტრაციას. ადმინისტრაცია აანალიზებს და მასწავლებლებთან მოსაზრებების შეჯერების საფუზველზე გეგმავს აქტივობებს, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერას.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ მასწავლებლები საგნობრივი კათედრების მიხედვით სასკოლო კურიკულუმის რევიზიისას ეყრდნობიან რამდენიმე კომპონენტს, რომელთა შორისაა: გამოცდილებას, რომელიც მივიღეთ მუშაობის პერიოდში (გაკვეთილებზე დაკვირვებით), მოსწავლეთა ინტერესების, სურვილებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას (გამოკითხვა), ადგილობრივი თემის მოლოდინებისა და მიღებული შედეგების შედარებას (მშობელთა გამოკითხვა კომპლექსური დავალებების მიმართ მათი დამოკიდებულების შესახებ). აღნიშნულ და სხვა კომპონენტებს ისინი ითვალისწინებენ ახალი კურიკულუმის შექმნისას. სასწავლო პროცესის ხარისხის მიმართულებით სკოლა გეგმავს მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამები, მონიტორინგი გაუწიოს სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგებზე დაყრდნობით შესთავაზოს შესაბამისი აქტივობები, ასევე ხელი შეუწყოს დიფერენცირებულ სწავლებას და შიდასასკოლო პროექტების განხორციელებას, ოლიმპიადებსა თუ კონფერენციებში მოსწავლეთა ჩართვას, აგრეთვე საკლუბო მუშაობას.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- დირექტორის ანგარიში სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შესახებ;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კვლევა „კურიკულუმი და მშობელი“.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

23.10.2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: